ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტს დატოვებს



გვ.2

ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 2009 №298 (5039) ფასი: 30 თეთრი

# თორთლაძემ ნაციონალების საქმე გააკეთა?!



***ჯონდი ბაღათურია:***

„თორთლა ე-თარგამა ის გუნდის მიერ მომზადებულ პროექტს მხარს არ დავუჭერ“

გვ.2



დიმიტრი ლორთქიფანი ემ დავითაიას პარტია ოფიციალურად დატოვა

## უმცირესობაში განხეთქილებას უნდა ველოდოთ

გვ.4



## რა კრიტერიუმებით ირჩევს საგადასახადო შესამოწმებელ ობიექტებს?

გვ.3

## შევარდნაძემ იგორ გიორგაძეს გამსახურდიას აყვანის უფლება არ მისცა



გვ.4

## მერობის კანდიდატი არ გვეყოლება

ქვეყანაში ქაოსს არ დავუშვებთ

გვ.3



## ლაღიძემ საზოგადოებრივ მაუწყებელს აქცია მოუწყო



გვ.6

## საქართველოში ღორის გრიპის 71 შემთხვევა დაფიქსირდა

გვ.6



## ამერიკაში ქართულ დემოკრატიაზე ყველაფერი იციან

გვ.2



გვ.3

## „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობის ჩამონგრევის საქმე ხელახლაა გამოსაძიებელი



## ამერიკა ოპოზიციას დიდ დროს უთმობს

გვ.2

**5** პატიმრების დაცვა ყველაზე მეტად დღეს მიჭირს

**3** საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა 0.3 პროცენტით გაიზარდა

**2** უკრაინაში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს

**7** კავკასიურ სახლში რეპრესირებულ ქალებს იხსენებენ

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## ამერიკაში ქართულ დემოკრატიაზე ყველაფერი იციან



ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, აშშ-ს უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან შეხვედრისთვის სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები თავად აშშ-ს დეპარტამენტმა და საქართველოში ამერიკის საელჩომ შეარჩია.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ტელეკომპანია „მაესტროს" მმართველმა ეროსი კიწმარიშვილმა განუცხადა. მისი თქმით, შეხვედრას სამოქალაქო სექტორიდან ხუთი წარმომადგენელი ესწრებოდა. აქედან სამი მედიას წარმოადგენდა. ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, ეს ადამიანები სახელმწიფო დეპარტამენტმა და საქართველოში ამერიკის საელჩომ შეარჩიეს, ასე რომ ამ შერჩევაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ.

კიწმარიშვილის თქმით, საქართველო-ამერიკის თანამშრომლობის ქარტიაში ძალიან დიდი სეგმენტი მედიას უჭირავს, დიდი ყურადღებაა გამახვილებული დემოკრატიულ პროცესებზე და სწორედ ამიტომ შეიქმნა ეს ჯგუფიც ამ ქარტიის ფარგლებში.

— ჩვენი ქვეყანა ვერ განვითარდება მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ გზები იგება, თუ არ განვითარდა მედია და ეს აშშ-ში ყველას კარგად ესმის. იმედი გვაქვს, რომ დასავლეთის დახმარებით ამას საქართველოს ხელისუფლებაშიც იგრძნობენ, გაჩნდება სურვილი დემოკრატიის და მედიის ჭეშმარიტი თავისუფლებისა, — განაცხადა კიწმარიშვილმა.

მისივე განმარტებით, აშშ-ს მხრიდან ჯგუფის წევრები საკმაოდ ინფორმირებულნი იყვნენ, სინამდვილეში რა ვითარებაა საქართველოში დემოკრატიის კუთხით.

შეხვედრას ჟურნალ „ლიბერალის" მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ მედიის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, დეტალურად ესაუბრათ პრობლემებზე.

— ისინი გვეძიებოდნენ დეტალებში და გვეკითხებოდნენ კონკრეტულ წინადადებებს. გვთხოვდნენ მიგვეცა მათთვის რეკომენდაციები, რომელსაც მიიტანდნენ ხელისუფლებამდე და სწორედ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით ისაუბრებდნენ ხელისუფლებასთან. ვყოფილვარ მსგავს შეხვედრებზე, მაგრამ გეტყვით, რომ ეს არ იყო ისეთივე სქემატური შეხვედრა, როგორებიც ადრე იმართებოდა და მათი მხრიდან იყო ნამდვილად დიდი ინტერესი მედიაში არსებული ვითარებისადმი, ყველაფერ იმისადმი რაც ქართულ მედიაში ხდება, — აღნიშნა შავერდაშვილმა.

მისივე თქმით, საუბარი შეეხო ელექტრონულ მედიას. ნაციონალური მაუწყებლობის გამჭვირვალეობის საკითხს, მედიის ბიზნეს-გარემოს და ასევე რეგიონული მედიის გამოწვევებს.

**ინტერპრესნიუსი**

## უკრაინაში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს

უკრაინის ქალაქ ნიკოლაევოში ადგილობრივმა სამართალდამცავებმა ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი პაატა ჩხარტიშვილი, მეტსახელად „პრინცი" დააკავეს.

ადგილობრივი წყაროების ცნობით, 39 წლის ჩხარტიშვილი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იყო და მას ჰეროინიც აღმოაჩნდა. უკრაინის მილიციის ინფორმაციით, „პრინცმა" საქართველო 2004 წელს დატოვა. ის ნიკოლაევოში ჯიბგირებს აკონტროლებდა.

**მედიანიუსი**

# თორთლაძემ ნაციონალების საქმე გააკეთა?!

## ჯონდი ბაღათურია: „თორთლა ე-თარგამა ის გუნდის მიერ მომზადებულ პროექტს მხარს არ დავუჭერ"

**ნანა მიშელაშვილი**

„პატრიოტის აქტი" ისევ აქტუალურია. „პატრიოტის აქტის" პროექტი დეპუტატმა გია თორლაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოადგინა. ბოლო დროის ყველაზე ხმაურიანი პროექტის შესახებ გია თორთლაძემ ჯერ ჟურნალისტებთან ისაუბრა, შემდეგ კი დეპუტატებთან აპირებს დეტალურ განხილვას.

მართალია ყველა თორთლაძის მიერ მომზადებულ პროექტს „პატრიოტის აქტს" უწოდებს, თუმცა, კანონპროექტს „ანტიტერორისტული ღონისძიებების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ" ჰქვია. ამ გრძელი სათაურის მიუხედავად, პროექტი საკმაოდ მცირეა და ორ ფურცელზეა გაწერილი.



გია თორთლაძის მიერ მომზადებული ე.წ. პატრიოტის აქტი შეეხება ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის საქართველოს სახელმწიფოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ტერორიზმი და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა და ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციისა და ბრძოლის დამატებით ღონისძიებებს.

— ასეთი აქტი მიღებული აქვს მრავალ ქვეყანას, მათ შორის ისეთ ქვეყნებს, რომელშიც ტერორისტული აქტები არ მომხდარა. სამწუხაროდ, საქართველოში მრავალი დანაშაული გვაქვს, რომელიც დაკავშირებულია ტერორიზმთან. კერძოდ, ეს არის: რკინიგზის რამდენჯერმე აფეთქება, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძების აფეთქება, სნაიპერების მიერ ქართველი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მოკვლა, რამდენიმე ასეული ადამიანის გატაცება. ბოლო ფაქტი დაკავშირებულია 4 არასრულწლოვანის გატაცებასთან. ასეთი აქტის მიღება გააძლიერებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, — ასეთია გია თორთლაძის მოსაზრება.

ბრიფინგზე თორთლაძემ ხაზი იმ ფაქტს გაუსვა, რომ ე.წ. „პატრიოტის აქტი" არ ითვალისწინებს სატელეფონო მოსმენებს ან ვინმეს ბინის ჩხრეკვას. თავდაპირველად, როდესაც ინფორმაცია გავრცელდა, რომ თორთლაძე „პატრიოტის აქტის" მსგავს დოკუმენტს ამზადებდა, არასაპარლამენტო ოპოზიციამ ხმაური ატეხა. მაშინ, ოპოზიცია ამბობდა, რომ თორთლაძეს სატელეფონო მოსმენების დაკანონება სურდა. არადა, თორთლაძე მაშინაც და ახლაც ირწმუნება, რომ მის მიერ მომზადებული კანონპროექტი სატელეფონო მოსმენებს, ბინის მეპატრონის გაუფრთხილებლად ჩხრეკვის ჩატარებას და ელექტრონული ფოსტის შემოწმებას არ ითვალისწინებს.

— ის აჟიოტაჟი, რომელიც ატყდა კანონპროექტის გარშემო, აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო, არავის ნანახი არ ჰქონდა კანონპროექტი, ვიღაცამ ჩათვალა, რომ ამერიკულ ვარიანტს პირდაპირ გადმოვიტანდით და დავნერგავდით. სხვათა შორის, აშშ-ში და ევროპაში მოსმენების და ჩხრეკვის გამო აკრიტიკებდნენ ამ აქტს, — აღნიშნა თორთლაძემ.

თორთლაძის განცხადებით, მის მიერ მომზადებული კანონპროექტი ითვალისწინებს საზღვრის მონიტორინგს, საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ტვირთების მონიტორინგს, ოკუპირებული საზღვრების პირობითი საზღვრების მონიტორინგს, თანხების მონიტორინგს, როდესაც დიდი ოდენობის თანხების გადმორიცხვა ხდება საქართველოში, ინფორმაციის გაცვლას ძალოვან სტრუქტურებს შორის.

გია თორთლაძის მიერ მომზადებულ პროექტში აღნიშნულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა განახორციელოს სტრატეგიული ობიექტების ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა, კერძოდ: აეროპორტების, საზღვაო პორტების, რკინიგზის ცენტრალური და საკვანძო სადგურების, მეტროპოლიტენის სადგურების, სტრატეგიული ხიდების, ელექტროსადგურების და სხვა განსაკუთრებული მნიშვნელოვანი ობიექტების.

დეპუტატის თქმით, „პატრიოტის აქტის" მსგავსი დოკუმენტი მიღებული აქვს დიდ ბრიტანეთს, იტალიას, გერმანიას, საფრანგეთს, ესპანეთს, აშშ-ს.

გია თორთლაძეს ე.წ. პატრიოტის აქტთან დაკავშირებით კონსულტაციები არ ჰქონია საპარლამენტო უმრავლესობასთან და უმცირესობასთან.

— ეს კანონპროექტი არ შემიტანია არც უმცირესობის სახელით, არც ფრაქციის სახელით, ეს არის ჩემი კერძო ინიციატივა, აქედან გამომდინარე, დაინტერესებული პირები, ვინც დამიკავშირდნენ, ყველასთან მქონდა კონსულტაციები. ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არ არიან, რომ ნახონ ეს კანონპროექტი, ასეთ ადამიანებთან მე კონტაქტი არ მქონია, — აღნიშნა გია თორთლაძემ.

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობის დანარჩენ წევრებს, ისინი თორთლაძის „პატრიოტის აქტს" ჯერ არ გასცნობიან. ჟურნალისტებთან საუბარში „ქრისტიან-დემოკრატმა" ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, რომ „პატრიოტის აქტის" დეტალებს ჯერ არ იცნობს, თუმცა, მიესალმება იმას, რომ თორთლაძემ გაითვალისწინა კრიტიკული მოსაზრება და პირდაპირ არ მოახდინა აშშ-ში მიღებული „პატრიოტის აქტის" კოპირება.

— კანონპროექტს დეტალებში არ ვიცნობ, თუმცა, ჩვენ მხარს დავუჭერთ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გააძლიერებს ქვეყნის უსაფრთხოებას. უსაფრთხოება ჩვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, — ასეთია ლევან ვეფხვაძის პოზიცია.

გია თორთლაძის მიერ მომზადებულ კანონპროექტთან დაკავშირებით შეკითხვები აქვს დამოუკიდებელ დეპუტატს ჯონდი ბაღათურიას.

— რატომ ირჯება უმცირესობა რაიმე აქტის ლობირებით? თუ ხელისუფლებას უნდა, თავად შემოიტანოს დოკუმენტი. მე ერთი რამ ვერ გავიგე, ასე ენერგიულად რატომ ცდილობს უმცირესობა ამ პროექტის ლობირებას? — კითხულობს ჯონდი ბაღათურია.

დამოუკიდებელი დეპუტატი ამბობს, რომ თუ რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა სურთ, ეს უშიშროების საბჭოს ფორმატში უნდა იქნეს განხილული, რადგან სწორედ ამის გამო შეიქმნა უშიშროების საბჭოს გაფართოებული ფორმატი.

ბაღათურია ხაზგასმით ამბობს, რომ ის მხარს არ დაუჭერს თორთლაძე-გიორგი თარგამაძის გუნდის მიერ მომზადებულ პროექტს.

ჯერჯერობით, ბაღათურია საპარლამენტო ოპოზიციიდან ერთადერთი დეპუტატია, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ ამ პროექტს მხარს არ დაუჭერს. თუმცა, არსებობს ასეთი ვარაუდი, რომ ამ პროექტს კიდევ რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატი არ მისცემს ხმას.

მას შემდეგ, რაც „პატრიოტის აქტი" კომიტეტების და ბიუროს ვიზირებას გაივლის, იგი პარლამენტის სხდომაზე გავა განსახილველად. თუ ამ პროექტს მმართველი ფრაქცია მხარს დაუჭერს, ის კანონად იქცევა და ძალაში შევა.

## კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტს დატოვებს

პარტია „თავისუფლების" ლიდერმა და დეპუტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ, იმ შემთხვევაში, თუ არ მიეცემა მამისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების გამოძიების საშუალება, შესაძლოა, პარლამენტი დატოვოს.



როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, საქმე ეხება ზვიადს გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენი დროებითი საპარლამენტო კომისიის საგამოძიებო კომისიად გადაკეთებას.

მისი განმარტებით, „დროებითი კომისიის" სახით გაპარულია ვითომდაც უმნიშვნელო დეტალი, რომელიც არსებითად ცვლის საქმის ვითარებას, კერძოდ, დროებით კომისიას არ შეუძლია აიძულოს ესა თუ ის პირი, ჩვენება მისცეს.

— იძულება შეუძლია მხოლოდ საგამოძიებო კომისიას. ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ საქმეში უნდა დაიკითხონ ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სახელმწიფოს ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებსაც იურიდიული საფუძველი აქვთ, უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე. ედუარდ შევარდნაძემ უკვე განაცხადა მედიის საშუალებით, რომ კომისიასთან თანამშრომლობას არ აპირებს, — აღნიშნა ბრეგაძემ.

მისივე ცნობით, ისინი კომისიის „საგამოძიებოდ" გადაკეთების თაობაზე პარლამენტს მიმართავენ.

— თუკი პარლამენტიდან არ იქნება გამოძიების ობიექტურად ჩატარების ხელშეწყობა და არ მოხდა აღნიშნული პირების დაკითხვა, გამოძიებასა და შესაბამისად, კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტში ყოფნას აზრი ეკარგება და ის პარლამენტს ბოიკოტს გამოუცახდებს, — დასძინა მან.

ბრეგაძე არ გამორიცხავს, რომ კომისიის მუშაობას ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის გარიგებამ შეუშალოს ხელი. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიადს გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენი დროებითი საპარლამენტო კომისია ერთი კვირის წინ შეიქმნა და მას კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობს.

**ინტერპრესნიუსი**

# ამერიკა ოპოზიციას დიდ დროს უთმობს



ნინო ბურჯანაძის შეფასებით, მნიშნელოვანია, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები ქართულ ოპოზიციას დიდ დროს უთმობენ.

ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერმა აშშ-ს საელჩოში აშშ-ს უწყებათაშორის ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

— ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, სრულყოფილი ინფორმაცია მიგვეწოდებინა ბატონი პოზნერისა და ქალბატონი ქეიდენაუსთვის. მათი მხრიდან იყო კონკრეტული შეკითხვები, თუ როგორი ზემოქმედებაა საჭირო, რათა ამერიკულ-ქართული ქარტია მართალც ამოქმედდეს და ქვეყანაში რეალურად დემოკრატიული პროცესები დაიწყოს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, იგი იმედოვნებს, რომ ამ შეხვედრას კონკრეტული შედეგები მოყვება.

— ჩემი მხრიდან იყო თხოვნა, დასახელდეს კონკრეტული ვადები, თუ როდის გაათავისუფლებენ პოლიტიკურ პატიმრებს, შეწყვეტენ დევნას და ქვეყანა კონკრეტულად რა ვადებში გადავა ნორამალური განვითარების რიტმში. ამას ჩვენ დაუსრულებლად ვერ დაველოდებით, — განცხადა ბურჯანაძემ.

ბურჯანაძის თქმით, საუბარი შეეხო არჩევნების თემასაც და ნათლად ითქვა, რომ არავითარ ცვლილებებს აზრი არ ექნება, თუ მედია თავისუფალი არ იქნება, არ მოხდება პოლიციის დეპოლიტიზაცია და ა.შ.

აშშ-ის მხრიდან უწყებათაშორისი ჯგუფი საელჩოში შეხვედრებს დილიდან მართავს. უწყებათაშორის ჯგუფში შედის სახელმწიფო მდივნის მოადგილე, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში მაიქლ პოზნერი. ჯგუფს ხელმძღვანელობს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში თინა ქეიდენაუ. შეხვედრებს ესწრებიან ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი და სალჩოს სხვა თანამშრომლებიც.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობის ჩამონგრევის საქმე ხელახლაა გამოსაძიებელი

„ახალი მემარჯვენეები“ „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობის ჩამონგრევის საქმის ხელახალ გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას მოითხოვენ. როგორც გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრეს-კონფერენციაზე „ახლების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ განაცხადა, აღნიშნული შენობის ჩამონგრევასთან და-



კავშირებით გარიგების საფუძველზე სასამართლოს დარბაზიდან იმ კომპანიის სამუშაოთა მწარმოებელი გაათავისუფლეს, რომელიც ტელეკომპანია “რუსთავი 2“-ის დაკვეთით თბილისში სანდრო ეულის ქუჩის №5-ში მდებარე შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებდა.

— აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას მომხდარ ნგრევას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ექსპერტიზის ბიურომ დადგინდა, რომ ნგრევა შენობაში განივი სიხისტის დიაფრაგმის (მზიდი კედლის) მოშლამ და ორსართულიანი შენობის დემონტაჟმა გამოიწვია. სახეზეა სამუშაოების მწარმოებლის უპასუხისმგებლობა, რომელმაც პროექტს გადაუხვია და მზიდი კედლები მოანგრია. ასეთ შემთხვევაში სწორედ დასჯად ქმედებასთან გვაქვს საქმე, — განაცხადა ნაჭყებიამ. მისივე თქმით, ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს საზოგადოებისთვის პასუხგაუცემელ ბევრი კითხვისთვის გაეცა პასუხი, კიდევ უფრო მეტი კითხვა გააჩინა.

— სახეზე გვაქვს კიდევ ერთი სასამართლო პროცესი, რომელმაც დაადასტურა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანების სიცოცხლესა და მათ უსაფრთხოებას კანონი არ იცავს. ისევე, როგორც ბევრ მსგავს შემთხვევებში, რეალური დამნაშვეები არც ახლა დასჯილან, არ დამდგარა შესაბამისი სამსახურების და უწყებების პასუხისმგებლობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიის — „არტიქსის“ უკან ოფიციალურად სახელისუფლებო გუნდის გავლენიანი პირების ნათესავები დგანან, — აღნიშნა ნაჭყებიამ, რომელიც მოითხოვს, აღნიშნული საქმე გამოძიებას ხელახლა დაუბრუნდეს და დამნაშავეები დაისაჯონ.

**პირველი**

## რა კრიტერიუმებით ირჩევს საგადასახადო სამსახური შესამოწმებელ ობიექტებს?

რატომ მომრავლდა ბიზნეს-კომპანიებში საგადასახადო შემოწმებები და რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს საგადასახადო შემოსავლების სამსახური კომპანიების დაჯარიმების ან დალუქვისას? როგორც რადიო „კომერსანტის“ პირდაპირ ეთერში შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი ცხაკაიამ განაცხადა, საგადასახადო სამსახურები იმ კომპანიებში შედიან, რომლებიც გადასახადებს არ იხდიან ან გადასახადების დამალვის ეჭვს იწვევენ.

მისი განმარტებით, ხშირად კომპანიები არსებულზე დაბალ ხელფასებს აჩვენებენ, ან რეალურზე ნაკლები საშტატო ერთეული აქვთ მითითებული და ამ გზით გადასახადებს მალავენ. გიორგი ცხაკაიას ინფორმაციით, თუ კომპანია მსგავსი სახის რისკის ქვეშ ხვდება, საგადასახადო სამსახური ამ ობიექტის შემოწმებას იწყებს, რათა ამ გზით დამალული გადასახადები ბიუჯეტში მოხვდეს. შეგახსენებთ: საგადასახადო სამსახური ბოლო პერიოდში ისეთ მსხვილ კომპანიებში შევიდა როგორებიცაა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია “ჯეოსელი“ და ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების კომპანია “ყაზბეგი“. საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებმა სათვალეების მაღაზიათა ქსელები “კენარი“ და “საფილოც“ შეამოწმეს.

**მედიანიუსი**

# მერობის კანდიდატი არ გვეყოლება

## ქვეყანაში ქაოსს არ დავუშვებთ

**ნათია ხურცილავა**

**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი კახა შარტავა აცხადებს, რომ ხელისუფლებამ პოლიტიკური ველი მოსპო და ფსევდოპოლიტიკური ასპარეზი შესთავაზა ოპოზიციასაც და საზოგადოებასაც, სადაც თავისი ხაფანგები და თამაშის წესები შემოიღო. შარტავა ამბობს, რომ სწორედ ახლა გამოჩნდება, ისევ ისე გაებმება ოპოზიცია ყველა ხაფანგში და ითამაშებს ხელისუფლების თამაშს თუ პირიქით.**

***— ბატონო კახა, რატომ არ ჩანხართ, რა არის ამის მიზეზი, სამუშაოები, რომლებიც პარტიას აქვს, ხალხთან შეხვედრები?***

— საქმის კეთება ყოველთვის არ გულისხმობს იმას, რომ ტელევიზორში, რადიოში და გაზეთის ფურცლებზე ჩანდე. სამუშაოს დიდი ნაწილი უხმაუროდ კეთდება. ამას არ სჭირდება ყოველდღიურად საკუთარი თავის დაფიქსირება და ერთი და იგივე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გამეორება საზოგადოებისთვის, რომელსაც მობეზრდა ერთისა და იმავეს მოსმენა. ძირითადად ეს არის ამის მიზეზი. უკვე პარტიის ფორმირების დასკვნით სტადიაზე გადავედით. რეგიონებში ჩვენ გვყავს საინიციატივო ჯგუფები, ასევე ადგილებზე ხდება მოქალაქეების გააქტიურება, რომ მათ ერთობლივად სცადონ ერთმანეთის უფლებების დაცვა, რომ ვისწავლოთ სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბება. ჩვენ გვინდა, ამ საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. რაც შეეხება გამოჩენა-არგამოჩენას საზოგადოების წინაშე, ამის სხვა ფორმაც არსებობს, რაც თქვენ ბრძანეთ — უშუალო კონტაქტი მოსახლეობასთან. ადამიანები ხედავენ, რომ არსად წავსულვართ, მათთან უფრო ახლოს მივედით.

***— რისთვის ემზადებით, რაზე გადის თქვენი ბრძოლის სტრატეგია?***

— ვემზადებით ყველაფრისთვის. სერიოზული საფრთხე ემუქრება საქართველოს სახელმწიფოებრიობას. პარტიის ამოცანაა, რომ მზად იყოს ყველაფრისთვის, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვას. ამ შემთხვევაში ბრძოლის ინსტრუმენტებში იგულისხმება აქციებიც, სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური აქტიურობები, რომლითაც იბრძვიან პოლიტიკური პარტიები. კონკრეტულად, თუ რისთვის ვემზადებით ამას პასუხი 2 თებერვალს გავეცით, როდესაც განვაცხადეთ, რომ უნდა მოხდეს საზოგადოების მაქსიმალური მობილიზება, ორგანიზება, მათი გათვითცნობიერება, თუ რეალურად რა პრობლემის წინაშე დგას ქვეყანა. მთელი ქვეყანა ერთმანეთის სოლიდარული უნდა გახდეს, რომ მათ უფრო ადვილად იბრძოლონ თავიანთი უფლებებისთვის. ეს ინსტრუმენტია შესაქმნელი პირველ ეტაპზე. ამ ინსტრუმენტის გამოყენება პოლიტიკურ ბრძოლაში სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი. ამის მაქსიმალური გამოვლინება ეროვნული დაუმორჩილებლობაა. ამის განხორციელება გარდაუვალი ხდება მაშინ, როდესაც დიქტატურისკენ მიდრეკილ რეჟიმს ებრძვი.



***— ახლა არის ეროვნული დაუმორჩილებლობის აუცილებლობა? დიქტატურიდან ტოტალიტარიზმისკენ ხდება გადასვლა?***

— ტოტალიტარიზმი ამ რეჟიმის გარეგნული ფორმა იყო, რომელსაც მოქალაქე ეჯახებოდა. თავისი ბუნებით ტოტალიტარულ სისტემაში, რა თქმა უნდა, დიქტატურაც ფუნქციონირებს. როდესაც სამოქალაქო საზოგადოება გათავისუფლებას ცდილობს, ის სწორედ ეროვნული დაუმორჩილებლობით იბრძვის. ასეთ რეჟიმთან, რომელიც, როგორც დამპყრობელი, ისე ოპერირებს საკუთარ ქვეყანაში, ძალიან ძნელია მხოლოდ არჩევნების გზით, მოწოდებებით, მანიფესტაციებით, მიტინგებით იმ შედეგის მიღწევა, რომელსაც ადამიანის უფლებების აღდგენა ჰქვია.

***— ანუ ეროვნული დაუმორჩილებლობა აქტუალური ხდება?***

— ბოლო წლებში ყოველთვის აქტუალური იყო და დღესაც აქტუალურია.

***— ოპოზიციაში განსხვავებული მოსაზრებებია ბრძოლის ტაქტიკასთან დაკავშირებით. ზოგი არჩევნების გზას, თუნდაც ადგილობრივს მიიჩნევს ადეკვატურ გზად, ზოგიც — რეფერენდუმს, ნაწილი — ისევ ქუჩას. რას იტყვით?***

— ნებისმიერ გზას აქვს არსებობის უფლება, თუ რეალობა არართმევს ამას აზრს. არჩევნებზე ან რეფერენდუმზე როდესაც ვსაუბრობთ, ამის განმხორციელებელი სუბიექტი უნდა იყო. ეს არის ამომრჩეველი, რომელიც ხმას აძლევს. თუ მოქალაქეებს გაესაუბრებით, აღმოაჩენთ, რომ არჩევნების თუ რეფერენდუმის მთავარი ინსტრუმენტი არ არსებობს. ეს არის ამომრჩეველი. ეს იქიდან ვიცი, როდესაც ვეკითხებით მოქალაქეებს, თუ რას განიცდიან, რა უჭირთ, გვპასუხობენ: გვშია და გვეშინიაო. შეშინებული და დამშეული ადამიანი ამომრჩევლად და საკუთარი ნების დამფიქსირებლად ნაკლებად გამოდგება, რადგან ამას თვითონაც ამბობენ. შიშის, გაჭირვების გამო იძულებული ხდება, ერთ ან მეორე მხარეს დადგეს, იმის გათვალისწინებით, რომელი მეტ სარგებლობას მოუტანს იმ წუთში. ამიტომ ამ შემთხვევაში არჩევნებს, რეფერენდუმს, ყოველთვის მოაქვს ისეთი შედეგი, რომელიც რეჟიმისთვის სახარბიელოა და მოქალაქე წინასწარვე წაგებულია, თუ არ მოახერხე მისი შიშისგან, გაჭირვებაზე გამუდმებულ ფიქრისგან გათავისუფლება. ამისგან მოქალაქეს იმედი და ნდობა გაათავისუფლებს, რომლის ნაკლებობაც არსებობს. იმედი და ნდობა რომ გაუჩნდეს ადამიანს, საჭიროა ზუსტად იცოდეს, რა უკეთესობას მიიღებს. ადამიანები უნდა დარწმუნდნენ, რომ ამ ბრძოლაში მარტო არ არიან. თუ ამის განცდა არ არის, თუ წინასწარ არ აქვს მოქალაქეს არჩევნებში გამარჯვების განცდა, მაშინ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს.

***— ბატონო კახა, „ფორუმი“ ამბობდა, ოპოზიციამ შედეგს იმიტომ ვერ მიაღწია, რომ მოქმედების პროგრამა არ არსებობდაო. ისევ ერთიანობაზეა საუბარი. ამ შემთხვევაში სად დადგება „ფორუმი“?***

— იქ, სადაც დგას. შველა და ხსნა ყველას ერთად თავმოყრაში არ არის.

***— საუბარია პრაიმერზე, რომელიც ერთიან კანდიდატს გამოავლენს. ამაზე რას იტყვით?***

— კანდიდატზე შეუძლიათ ისაუბრონ მათ, ვინც არარსებული თვითმმართველობის ე.წ. ფსევდოარჩევნებში აპირებს მონაწილეობას. ჩვენთვის ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში.

***— თუმცა, ამბობდნენ, თითქოს გუბაზ სანიკიძე აპირებდა მერობას...***

— ამას სხვები აცხადებდნენ. გუბაზ სანიკიძესა და „ფორუმს“ მსგავსი განცხადება არ გაუკეთებიათ. ჩვენ რამდენჯერმე დავაფიქსირეთ, რომ არ ვიღებთ მონაწილეობას ამ ფარსში.

***— საპარლამენტო არჩევნები თუ დაინიშნა, მიიღებთ მონაწილეობას?***

— მინიმუმი, რასაც შეიძლება მივაღწიოთ, ეს არის თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები, რომ არანაირი საპარლამენტო უმრავლესობა არ ჰყავდეს მმართველ რეჟიმს, მაგრამ თავისივე ნებით, თავისივე პირობებით, როდესაც რეჟიმი გინიშნავს არჩევნებს, როგორც რაღაც კონკურსს, რომლის შედეგებიც წინასწარ არის დაგეგმილი, მაშინ ამ არჩევნებს აზრი არ აქვს. ჩვენი გამარჯვება იქნება მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნებს მივაღწევთ საზოგადოების მოთხოვნით და საზოგადოებას ექნება განცდა, რომ ის გამარჯვებულია. ამის გარდა, რას დაერქმევა არჩევნები, თუ ის არჩევანის საშუალებას არ მისცემს ხალხს, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ ვამბობ, რომ მოსამზადებელი სამუშაოები ყველა შემთხვევაში ჩასატარებელია. ამიტომ ჩვენ ამ გზას არ გადავუხვევთ და საყოველთაო მობილიზაციასა და ორგანიზებას დავიწყებთ.

***— მარტო შეძლებთ?***

— როდესაც ამ შეკითხვას საკუთარ თავს დაუსვამ, უკვე დიდი შანსია, რომ ვერ შეძლო. ამიტომ ამაზე არ ვფიქრობთ. ის, რაც გასაკეთებელია, შენს თავზე უნდა აიღო და გააკეთო, როდესაც თანამებრძოლებს ეძებ და ვერ პოულობ.

***— თანამებრძოლები ახსენეთ და მაინტერესებს, ვისთან წარმოგიდგენიათ ალიანსის, ბლოკის შექმნა?***

— არავინ არ წარმომიდგენია. პარტნიორები ერთმანეთთან კონკრეტულმა საქმიანობამ უნდა მიიყვანოს. ერთი გზის არსებობა სამუშაო ეტაპმა უნდა აჩვენოს. ჯერ ასეთი პარტნიორი არ მესახება.

***— საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ ოპოზიციის მინავლებამ ხელისუფლების გათამამება გამოიწვია. შემაკავებელ ფაქტორს როდესაც ვერ გრძნობს ხელისუფალი, ამ დროს რა ხდება?***

— იწყება თავაშვებულობა, თვითნებობა და თარეში.

***— რატომ უშვებს ამას ოპოზიცია?***

— მეტი ვერ შევძელით და დავუშვით, თუმცა აქტიურობის შესუსტება ბუნებრივიც არის. სულ ამოსუნთქვაზე ვერ ვიქნებით, უნდა ჩავისუნთქოთ. ალბათ, დადგა დრო, როდესაც პოლიტიკური სიმწიფის ხანაში უნდა შევიდეთ და უფრო სერიოზული პოლიტიკის კეთება ვისწავლოთ, თუმცა შეიძლება ოპოზიცია საერთოდ არ არის ან ცუდია. ამ შემთხვევაში მოქალაქეებმა თვითონ უნდა იაქტიურონ. ქვეყანა თუ დაიქცა, ეს, საბოლოო ჯამში, მხოლოდ რეჟიმის ბრალი არ იქნება. ამ მიმართულებით ცოდვა საზოგადოებას ექნება ჩადენილი. ახლა რაღაც ეტაპზე ჩაქრა ოპოზიციური აქტიურობა. მაინტერესებს, სად არის საზოგადოება, რომელსაც, ვთქვათ, ჰყავს უვარგისი ოპოზიცია, მაგრამ თვითონ ვინ არის და სად არის? თუ ისევ აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური ოპოზიციის აქტიურობის გარეშე საზოგადოებას არაფერი შეუძლია? ამ შემთხვევაში საზოგადოებას ერთი გზა რჩება, რომ ხელი შეუწყოს ოპოზიციას და აიძულოს სწორი ნაბიჯების გადადგმა. ისე არასოდეს ყოფილა, რომ ხალხი გადაშენებულიყო და რეჟიმი დარჩენილიყო, პირიქით ხდება ყოველთვის. ხალხი რჩება და რეჟიმები მიდიან. ვინც არ ეპუება არსებულ მდგომარეობას, ასეთი ჯგუფები დაიწყებენ აქტიურობას. რა ფორმები ექნება მათ ბრძოლას, ამას რეალობა ბრძოლის სიმწვავე გვიჩვენებს, რომელიც დაუნდობელმა რეჟიმმა გამოუცხადა საკუთარ ხალხს. თუ პოლიტიკური ასპარეზი არ იქნება (დღეს არ არსებობს), ადამიანებს თავდაცვა ძველებური მეთოდით მოუწევთ. ტერორს კონტრტერორით უნდა უპასუხონ, რომ თავი დაიცვან. ეს იქნება მძიმე რეალობა. ამიტომ ახლა მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, რათა უკიდურესობამდე არ მივიდეთ. ამას გონივრული პოლიტიკის წარმოება სჭირდება.

## საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა 0.3 პროცენტით გაიზარდა

საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილები მიმდინარე წლის ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, 0.3 პროცენტით გაიზარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეროვნული ბანკიდან აცნობეს, ოქტომბერში საზღვარგარეთიდან საქართველოში 80.7 მლნ აშშ დოლარი გადმოიგზავნა.

როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდა ძირითადად რუსეთიდან მათი ნაკადების 0.7 მლნ აშშ დოლარით, ანუ 1.7 პროცენტით მატებამ გამოიწვია.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 88.6 პროცენტი იმ 8 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც გზავნილების მოცულობამ ოქტომბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 8 ქვეყანაზე მიმდინარე წლის სექტემბერში მთელი ფულადი გზავნილების 89.7 პროცენტი მოდიოდა.

კერძოდ, რუსეთიდან საქართველოში ოქტომბერში 44.6 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, უკრაინიდან 6.2 მლნ აშშ დოლარი, აშშ-დან 5.9 მლნ აშშ დოლარი, საბერძნეთიდან 5.8 მლნ აშშ დოლარი. იტალიიდან ოქტომბერში საქართველოში 4 მლნ ლარი გადმოირიცხა, თურქეთიდან - 2.1 მლნ ლარი, ესპანეთიდან 1.6 მლნ ლარი, ხოლო კვიპროსიდან 1.1 მლნ ლარი.

ოქტომბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 6.5 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა. სექტემბერში კი - 6.3 მლნ აშშ დოლარი. ოქტომბერში რუსეთში გადარიცხვები 0.1 მლნ აშშ დოლარით ანუ 5.3 პროცენტით გაიზარდა.

**ინტერპრესნიუსი**

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე **30-30** და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე **30-30** და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**
*ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“*

# შევარდნაძემ იგორ გიორგაძეს გამსახურდიას აყვანის უფლება არ მისცა

## უშიშროების ექსმინისტრი პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საიდუმლოს გაამხელს

თეა მარხვაი ე

**გასულ კვირას უშიშროების ყოფილი მინისტრი თამაზ ნინუა მოკლეს. მას ეს თანამდებობა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ეკავა. ამ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე შეიქმნა გამსახურდიას სიკვდილის შემსწავლელი საპარლამენტო კომისია. თბილისში გაჩნდა ვერსია, რომ თამაზ ნინუას მკვლელობა სწორედ ამ კომისიის შექმნას უკავშირდება.**

ნინუა სპეცსამსახურებში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. ის იყო თავისი საქმის პროფესიონალი და მან მართლა ბევრი რამე იცოდა. ამიტომაც ზოგიერთმა ჩათვალა, რომ ნინუას შეიძლებოდა რაღაცა ისეთი ეთქვა, რომ თავდაყირა დაეყენებინა ყველაფერი.

ამ ვერსიას არ იზიარებს გამსახურდიას თანამებრძოლი ელიზბარ ჯაველიძე. მას არც იმის სჯერა, რომ საპარლამენტო კომისია გამსახურდიას მკვლელობის ნამდვილ მიზეზებს დაადგენს. აქედან გამომდინარე, ის ნინუას მკვლელებს სხვაგან ეძებს. გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით კი, მისი აზრით, სკანდალური ინფორმაციები იგორ გიორგაძეს აქვს.

**გამსახურდიას მკვლელობის შესახებ აკადემიკოსი ჯაველიძე გიორგაძეს არაერთხელ ესაუბრა. ამ საუბრის დეტალების გამხელას არ აპირებს. ამბობს, რომ დადგება დრო, როცა ამის შესახებ განცხადებას თავად იგორ გიორგაძე გააკეთებს. მანამდე კი ჯაველიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში გიორგაძის მოყოლილ ერთ ამბავს იხსენებს.**

***— თამაზ ნინუას მკვლელობამდე გამსახურდიას სიკვდილის შემსწავლელი კომისია შეუდგა მუშაობას. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, ნინუა იმიტომ მოკლეს, რომ მას გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით სკანდალური ინფორმაციის გაჟღერება შეეძლო.***

— მე ამ ვერსიას არ ვიზიარებ. არა მგონია, ნინუას მკვლელობა გამსახურდიას ამბავს უკავშირდებოდეს. თანაც არა მგონია, რომ ამ კომისიას მართლა უნდოდეს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების შესწავლა.

***— მაგრამ ამ კომისიაში არის პირველი პრეზიდენტის შვილი, რომელიც აუცილებლად მოინდომებს მამის სიკვდილის ნამდვილი მიზეზების გაგებას.***

— კონსტანტინე გამსახურდია მართლაც დაინტერესებულია, რომ მამის სიკვდილი ბოლომდე გამოიძიოს. დანარჩენებზე იგივეს ვერ ვიტყვი. ეს კომისია აბსოლუტურად სხვა მიზეზებით არის შექმნილი. ეს კომისია არც დამნაშავეებს მიაგნებს და არც იმ მიზეზებს დაადგენს, თუ რატომ მოხდა ეს ამბავი. ზვიად გამსახურდიას თავი რომ არ მოუკლავს, ეს კომისიის დასკვნის გარეშეც ნათელია. ყველამ კარგად იცის, რომ ის ამას არ გააკეთებდა. ვინც მას იცნობდა, იცის, რომ გამსახურდია მაშინ იყო ყველაზე ძლიერი, როცა ძალიან უჭირდა. როცა ვამბობ უჭირდა, ცხადია, ეკონომიკურ გაჭირვებას არ ვგულისხმობ. ამ შემთხვევაში მე სამშობლოზე მაქვს საუბარი. როცა საქართველო ცუდ დღეში ჩავარდებოდა, გამსახურდია ძალიან ძლიერი ხდებოდა, ლომად იქცეოდა ხოლმე. მას არც უკან დახევა სჩვეოდა ხოლმე. 1993 წლის ბოლოს ის აღმოჩნდა დევნილი. მას სოფელ-სოფელ და კარდაკარ დასდევდნენ. მას მაშინ დაუყარეს უამრავი ჭორი. ხალხში ვრცელდებოდა ხმები, რომ ის ძალიან დაიღალა, დაქანცულია, სულიერად გატყდა და ა.შ. ეს ყველაფერი წინასწარ გათვლილი ქმედება იყო.

***— ვის მიერ იყო წინასწარ დაგეგმილი?***

— უშიშროების. ასეთ ჭორებს ისინი ავრცელებდნენ ხოლმე. მათ მიერ გავრცელებული ჭორი გამსახურდიას დაღლასთან დაკავშირებით იყო სიცრუე.

***— მას დიდი ხნის განმავლობაში დევნიდნენ და გამორიცხული არ არის, მართლაც დაღლილიყო.***

— გამსახურდია არ დაღლილა. მე ვიცი, როგორ იქცეოდა ის იმ პერიოდში და ამიტომ ვსაუბრობ ასე დაბეჯითებით. როგორც ზევით უკვე გითხარით, ის მაშინ ხდებოდა ლომივით ძლიერი, როცა განსაცდელის წინაშე აღმოჩნდებოდა. მე როგორც მითხრეს, როცა მასზე დევნა ხორციელდებოდა, ის პირველი შევიდა მდინარეში და პირველმა გადაცურა გაყინული მდინარე. მას თან ბევრი ადამიანი ახლდა. მათ შორის იყვნენ ძალიან ერთგულები,



მაგრამ იყვნენ გამყიდველებიც.

***— რატომ ფიქრობთ, რომ მას გვერდით გამყიდველებიც ჰყავდა?***

— იმიტომ, რომ მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი გადაადგილება ცნობილი იყო უშიშროების სამსახურისთვის. სიკვდილამდე მან რამდენიმე ბინა გამოიცვალა. თავს ხან ერთ სოფელს აფარებდა, ხან მეორე სოფელს. როგორც კი დატოვებდა თავშესაფარს, იქ მადევარი ჯგუფის წევრები მიდიოდნენ.

***— რამდენ ხანში მიდიოდნენ?***

— ნახევარი საათის, მაქსიმუმ ერთი საათის შემდეგ. უშიშროებამ ბრწყინვალედ იცოდა, სად აფარებდა თავს გამსახურდია.

***— გამსახურდიას ადგილსამყოფელის შესახებ ისინი ინფორმაციას მას შემდეგ იგებდნენ, რაც ის თავშესაფარს დატოვებდა ხოლმე?***

— არა. მათ თავიდანვე იცოდნენ თუ სად აფარებდა თავს გამსახურდია. თავშესაფარში მას შემდეგ მიდიოდნენ, რაც პირველი პრეზიდენტი იქაურობას დატოვებდა.

***— უშიშროება დასდევდა გამსახურდიას, ყველამ იცის, რომ მისი ლიკვიდაცია იყო გადაწყვეტილი. თუ იცოდნენ მისი ადგილსამყოფელის თაობაზე, რატომ არ ატარებდნენ მის წინააღმდეგ ოპერაციას?***

— დავალება იყო ასეთი. არ უნდოდათ ასე ღიად გაენადგურებინათ გამსახურდია. ასე რომ მოქცეულიყვნენ, ყველა გაიგებდა, რომ მათ გამსახურდია მოკლეს. ამიტომაც მიიღეს მათ ასეთი გადაწყვეტილება. ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო რამეა აქვს მოყოლილი იგორ გიორგაძეს, რომელიც მაშინ საქართველოს უშიშროების მინისტრი იყო.

***— იგორ გიორგაძის ნათქვამი სანდოა?***

— იგორ გიორგაძეს მე ძალიან კარგად ვიცნობ. ეს ადამიანი ტყუილს არ იკადრებს. იგორ გიორგაძემ მოყვა, რომ მან ერთხელ ალყაში მოაქცია ზვიად გამსახურდია. ამის შესახებ მან ედუარდ შევარდნაძეს მოახსენა. მან ისიც უთხრა, რომ შემიძლია გამსახურდია ავიყვანოო. ამაზე შევარდნაძემ იგორ გიორგაძეს უპასუხა, მე ზვიად გამსახურდია ცოცხალი არ მჭირდებაო. აქედან გამომდინარე მე ვასკვნი, რომ მას შეგნებულად სდევნიდნენ ამდენი ხნის განმავლობაში. მათ სურდათ პირველი პრეზიდენტი უკიდურეს მდგომარეობამდე მიეყვანათ.

***— უკიდურეს მდგომარეობაში თვითმკვლელობას გულისხმობთ?***

— სწორედ თვითმკვლელობას ვგულისხმობ. რასაც ზვიადი არასდროს არ გააკეთებდა. ის იყო მორწმუნე ადამიანი. მორწმუნე ადამიანები კი ასეთ რამეს არ სჩადიან, მით უმეტეს, მარხვაში. გამსახურდია რომ თავს არ მოიკლავდა, ამაში მისი მდევრებიც დარწმუნდნენ. ამიტომაც გადაწყვიტეს მისი მოკვლა. პირველი პრეზიდენტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა მისი სიკვდილის შესახებ ჭორები გაავრცელეს. მის სიკვდილამდე ორი დღით ადრე დაყარეს ხმები, თითქოს ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. თავშიც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ გამსახურდია მოკლეს. ახლა საკითხავია, ვინ მოკლა. ჩემთვის საინტერესო ის კი არ არის, ვინ გამოჰკრა ჩახმახს ხელი, არამედ საინტერესოა, ვისი ბრძანებით მოკლეს ის. ვისი ბრძანებითაც მოხდა ეს, მგონი ყველასთვის ცხადია. იმჟამად საქართველოს სათავეში იყო შევარდნაძე, რომელსაც არაფრით არ აწყობდა გამსახურდიას ცოცხლად დატოვება.

***— რატომ არ აწყობდა შევარდნაძეს გამსახურდიას ცოცხლად დატოვება?***

— ცოცხლად დატოვების შემთხვევაში ის უნდა დაეჭირათ და გაესამართლებინათ. მის სასამართლო პროცესს დიდი პოლიტიკური ხმაური მოჰყვებოდა. მას ვერავითარ დანაშაულს ვერ დაუმტკიცებდნენ. მას მხოლოდ ერთი დანაშაული ჰქონდა, ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო. მისი თავისუფლებისთვის მეშვიდე კლასიდან იბრძოდა ადამიანი. ასე რომ, ჩემთვის ეს კომისია არაფერს ნიშნავს. ხელისუფლებას გამსახურდია საერთოდ არ აინტერესებს. საააკაშვილს უნდა, რომ საკუთარი თავი ეროვნული ცნობიერების ადამიანად წარმოადგინოს.

***— მოდით, თამაზ ნინუასაც მივუბრუნდეთ. რა ინფორმაცია შეიძლება ჰქონოდა მას და რა შეგიძლიათ თქვათ ამ ადამიანთან დაკავშირებით?***

— მე როგორც ვიცნობდი, ნინუა ძალიან წესიერი და მორიდებული კაცი იყო. მისი კოლეგების დახასიათებით თამაზ ნინუა უკონფლიქტო ადამიანი იყო. მე მასთან დიდი ხნის განმავლობაში არავითარი კავშირი აღარ მქონდა. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, რას საქმიანობდა ის. მისი მეგობრები ამბობენ, რომ ნინუა პენსიაზე იყო და ისეთს არაფერს საქმიანობდა, რომელიც შეიძლებოდა მკვლელობის მიზეზი გამხდარიყო. ამიტომმკვლელი სხვაგან უნდა ვეძებოთ. გამსახურდიას ამბის შესწავლას ეს მკვლელობა არ უკავშირდება. მან გამსახურდიას სიკვდილის შესახებ არაფერი იცოდა. რაღაცა ინფორმაცია მასაც შეიძლება ჰქონდა, მაგრამ არა ისეთი. გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაციები სხვა ადამიანებს აქვთ.

***— ვის აქვს ასეთი ინფორმაციები?***

— თუნდაც იგორ გიორგაძეს.

***— თქვენ იგორ გიორგაძესთან კარგი ურთიერთობა გაქვთ. მასთან აუცილებლად გექნებოდათ საუბარი გამსახურდიას სიკვდილის შესახებ. კიდევ რა მოგიყვათ ის გამსახურდიაზე, გარდა იმისა, რომ შევარდნაძემ მას გამსახურდიას ცოცხლად აყვანის უფლება არ მისცა.***

— მე უფლებამოსილი არ გახლავართ, ამ საკითხების შესახებ რომ ვისაუბრო. ამის შესახებ განცხადება თავად იგორ გიორგაძემ უნდა გააკეთოს.

***— უნდა გააკეთოს, მაგრამ გააკეთებს?***

— მას ჩემთან ძალიან საინტერესო რამე აქვს ნათქვამი. ერთხელ მითხრა, მე ბევრი რამე ვიცი კიდევ, დრო დადგება და ამ საიდუმლოს ავხდი ფარდასო. იგორ გიორგაძე არის ნამდვილი პროფესიონალი. ის იყო უშიშროების მინისტრი. იცავს გარკვეულ ეტიკეტს და ამ ფაქტებს მოგვიანებით გაახმაურებს.

***— მოგვიანებით რატომ გაახმაურებს. ახლა ამის თქმა არ შეიძლება?***

— როგორც ჩანს, არა. ის პროფესიონალია და დროზე ადრე არაფერს გაახმაურებს, მაგრამ დადგება დრო და ყველაფერს იტყვის.

# უმცირესობაში განხეთქილებას უნდა ველოდოთ

## დიმიტრი ლორთქიფანიძე ემ დავითაიას პარტია ოფიციალურად დატოვა

ნანა მიშელაშვილი

**დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ პაატა დავითაიას პარტია „ჩვენ თვითონ" დატოვა. თავდაპირველად კულუარული ინფორმაცია გავრცელდა, რომ ლორთქიფანიძე პარტიის დატოვებას აპირებდა, გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მან პარტიის დატოვების გადაწყვეტილება უკვე მიიღო.**

არადა, ბევრი ელოდა, რომ ლორთქიფანიძე არა პაატა დავითაიას პარტიას, არამედ გია თორთლაძის ფრაქციას დატოვებდა. ლორთქიფანიძემ გადაწყვეტილება ამჯერად ფრაქციის სასარგებლოდ მიიღო და დავითაიას პარტია დატოვა.

გუშინ, შუადღისას, დიმიტრი ლორთქიფანიძე პაატა დავითაიას კაბინეტში იმყოფებოდა. ეს შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, ამიტომ ჟურნალისტებისთვის უცნობია, თუ როგორი საუბარი გაიმართა ლორთქიფანიძესა და დავითაიას შორის ან რაზე ისაუბრეს ახლა უკვე ყოფილმა თანაპარტიელებმა შეყრა-გაყრისას ერთმანეთთან.

ამ შეხვედრის შემდეგ ლორთქიფანიძის პარტიიდან წასვლის შესახებ კომენტარის გაკეთება არ სურდა ვიცე-სპიკერ პაატა დავიათიას. მან ჟურნალისტებს მხოლოდ ის უთხრა, რომ ლორთქიფანიძესთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს და ეს ურთიერთობა გაგრძელდება.

გუშინ, საღამოს, თითქმის ყველა ოპოზიციონერმა დეპუტატმა იცოდა, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძეს პარტია „ჩვენ თვითონ“ დატოვებული ჰქონდა. საპარლამენტო ოპოზიცია ერთმანეთის გადაწყვეტილებების კომენტირებას ერიდებოდა, ამიტომ თითქმის არც ერთი დეპუტატი არ საუბრობდა ღიად ამ საკითხზე.

ისე, გუშინ პარლამენტში ერთმა ადამიანმა იხუმრა: აქამდე იყო პარტია „ჩვენ თვითონ“ და ახლა დარჩა — „მე თვითონ“.

დიმიტრი ლორთქიფანიძე წასვლას რომ აპირებდა, ამის შესახებ ინფორმაცია გასულ კვირას გაჩნდა, თუმცა მაშინ ლორთქიფანიძე იმაზე საუბრობდა, რომ ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე გია თორთლაძე, იმავდროულად, ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარეა, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებით შეიქმნა. ასეთი კომენტარების შემდეგ ზოგიერთი ლოგიკურად ასკვნიდა, რომ ლორთქიფანიძე ფრაქციას დატოვებდა, თუმცა სულ სხვა რამ მოხდა. დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარტია დატოვა და ფრაქციაში დარჩა.

ამ ყველაფერს კი წინ უძღოდა ლორთქიფანიძის, თორთლაძისა და დავითაიას შეხვედრა. სამეულის დახურული შეხვედრა გასულ კვირას პარლამენტში მოხდა. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, ფაქტია, რომ ლორთქიფანიძემ პარტიის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძე მას შემდეგ შევიდა დავითაიას პარტიაში, რაც პარ-



ლამენტის წევრი გახდა. დავითაია პარტიის „ჩვენ თვითონ“ თავმჯდომარე 2006 წლის მაისიდან არის. დავითაიაც და ლორთქიფანიძეც იმ ფრაქციის წევრები არიან, რომლის თავმჯდომარე გია თორთლაძეა. ამ 6-კაციან პარტიაში 5 სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტი შედის. ამიტომ ფრაქცია ინტერპარტიულია.

მას შემდეგ, რაც დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარტია დატოვა, პარლამენტში ყველამ ის თანამდებობა შეინარჩუნა, რომელიც აქამდე ეკავა. კერძოდ, ლორთქიფანიძე



კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დარჩა, დავითაია კი — ვიცე-სპიკერად, ანუ არსებული სიტუაცია შენარჩუნდა.

იმ შემთხვევაში, თუ ლორთქიფანიძე ფრაქციას დატოვებდა და ფრაქცია დაშლებოდა, მაშინ რამდენიმე ადამიანი პოსტს დაკარგავდა, ანუ ფრაქციის კვოტით არჩეული დავითაია ვიცე-სპიკერი აღარ იქნებოდა, ლორთქიფანიძე კი — კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

გია თორთლაძეს ფრაქცია რომ არ დაეშლებოდა, ამის შესახებ თორთლაძე დარწმუნებით ჯერ კიდევ გასულ კვირას აცხადებდა. ლორთქიფანიძის ფრაქციიდან წასვლის შემთხვევაში, თორთლაძეს ფრაქციაში გასაწევრიანებელი მეექვსე დეპუტატი უკვე ჰყავდა. როგორც ამბობენ, თორთლაძე მოლაპარაკებას აწარმოებდა დამოუკიდებელ დეპუტატ რამაზ თედორაძესთან, რომელიც ამჯერად არც ერთ ფრაქციაში არ არის გაწევრიანებული. თედორაძე ჯერ ფრაქცია „ძლიერ საქართველოში“ არ შესულა, თუმცა ამბობენ, რომ ის ამ ფრაქციაში შესვლას აპირებს.

ასე რომ, უმცირესობის შიგნით გარკვეული პროცესები დაიწყო. ამ ეტაპზე ლორთქიფანიძეც და დავითაიაც უმცირესობის რიგებში რჩებიან. როგორი იქნება ყოფილი თანაპარტიელების საქმიანობა უმცირესობის შიგნით, თანდათან გამოჩნდება.

# პატიმრების დაცვა ყველაზე მეტად დღეს მიჭირს

შორენა კოწოწაშვილი

**„პატიმართა თანამეგობრობის“ პრეზიდენტი ლალი აფციაური ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ეროვნული მოძრაობის პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაცია დააარსა და პატიმრების უფლებების დაცვა ითავა. მისი თაოსნობით მოხდა საბჭოთა ციხეებიდან საქართველოში პატიმრების გადმოყვანა.**

1989 წლიდან მოყოლებული, ლალი აფციაური უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწეობს. მისი თქმით, იმას, რასაც დღეს პატიმრების მიმართ აქვს ადგილი, კომუნისტებიც კი ვერ ბედავდნენ.

**რამდენად ძნელი იყო კომუნისტების მმართველობისა და შემდგომ პერიოდში პატიმრების უფლების დაცვა, რა მდგომარეობაა დღეს ამ კუთხით და რატომ შეარქვეს აფციაურს კიბოს მჭამელი, ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ თავად ადვოკატი ლალი აფციაური საუბრობს.**

***— ქალბატონო ლალი, როდის და რა ვითარებაში გადაწყვიტეთ პატიმრების უფლებებით დაინტერესება და მათი ინტერესების დაცვა?***

— მოგეხსენებათ, 1989 წლის აპრილი ეროვნული მოძრაობის პიკი იყო. როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, აქტიურად ვიყავი ჩართული საპროტესტო აქციებში. სწორედ იმ პერიოდში გამიჩნდა იდეა, შემექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც პატიმრების უფლებებზე იმუშავებდა. იდეა კი იმ უამრავი წერილიდან გამიჩნდა, რომლებიც პატიმრების სახელით ედპ-ში მოდიოდა. დღევანდელისგან განსხვავებით, მაშინ ციხიდან წერილებს კონვერტით ვიღებდით, დღეს კი ციხიდან წერილის გამოგზავნა აკრძალულია, ანუ ზოგადად მიმოწერა აკრძალულია. თავი საომარ მდგომარეობაში მგონია, როდესაც წითელი ჯვრის მეშვეობით ხდება საპატიმროებიდან წერილების გამოტანა. სწორედ 1989 წელს დავაფუძნე „პატიმართა თანამეგობრობა“. იგი საქართველოში იყო პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამ კუთხით მუშაობდა. ორგანიზაციის დაფუძნების პარალელურად, გამოვეცი გაზეთი „თემიდა“, სადაც ჟურნალისტიც, რედაქტორიც და ტექნიკური პერსონალიც მე ვიყავი. იცით, რა დაძაბული ვითარება იყო მაშინ? ამიტომ ყველამ აირიდა ამ გაზეთის გამოცემა მისი ეგიდით, მათ შორის, ედპ-მაც. გაზეთის გაკეთება პირადად შევთავაზე გია ჭანტურიას, მაგრამ თავი შეიკავა. რადგან პატიმრების მდგომარეობა აქტუალური იყო, ერთპიროვნულად გავაკეთე ეს გაზეთი. პატიმრების უფლებები ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ მაშინ არც ერთ პატიმარს არ მოუწერია, გვაწამებენ, გვცემენ, გვკლავენ, საჭმელი გვაკლიაო.

***— რაზე მიანიშნებთ, რომ მაშინ პატიმრების უფლებები, დღევანდელთან შედარებით, ბევრად უკეთ იყო დაცული?***

— რასაკვირველია. წარმოუდგენელი იყო, ციხეში პატიმარი ეცემათ, პატიმარს საკვები არ ჰქონოდა ანდა ერთ საწოლზე 4-5 პატიმარი განეთავსებინათ. სამედიცინო მომსახურებაზე აღარაფერს ვამბობ. ყველაფერი იყო იმ ნორმებში, რომელიც უნდა ყოფილიყო. მაშინ ეროვნული სტანდარტები არ იყო, მაგრამ ფაქტია, რა სტანდარტებსაც სააკაშვილის ხელისუფლება გვამადლის, კრიტიკას ვერ უძლებს.

***— ძირითადად რა სახის საჩივრები შემოდიოდა პატიმრების მხრიდან?***

— ძირითადად პატიმრები გვწერდნენ უკანონო განაჩენებთან დაკავშირებით. პრეტენზიები იყო სასამართლოების მიმართ, მაგრამ, რაც დღეს ხდება, უფრო სწორად, რასაც ესენი ბედავენ, იმას ავადსახსენებელი კომუნისტები, უბრალოდ, არ კადრულობდნენ.

***— ქალბატონო ლალი, როდის უფრო ძნელი იყო პატიმრების უფლებების დაცვა, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს პირობებში თუ ეროვნული მოძრაობის პერიოდში?***

— იმაზე მეტად არასოდეს გამჭირვებია რეალური დაცვის განხორციელება, როგორც დღეს. დღეს, ფაქტობრივად, ველარ ვმუშაობთ. იმ პერიოდში პატიმრებთან კონტაქტი, ციხეებში მონიტორინგი და ა.შ. არასოდეს გამჭირვებია, პირიქით, მაშინდელი ხელმძღვანელები ხელგაშლილი გვიღებდნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ, ჩვენი კრიტიკის ქვეშ არ მოხვედრილიყვნენ. მაშინდელ და დღევანდელ მუშაობას თუ შევადარებთ, შეიძლება ითქვას, დღეს უკვე აღარ ვმუშაობთ. სწორედ ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გაუარესდა პატიმრების უფლებების მდგომარეობა. მანამდე, გინდა გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილი თავად იყო დაინტერესებული პატიმრების უფლებების დაცვით, თავად ახორციელებდა არასამთავრობოებთან ერთად მონიტორინგს, მაგრამ, როგორც კი პრეზიდენტი გახდა, ფუნქცია დაგვიკარგა და რეალური მონიტორინგიც ციხეებში არასამთავრობოების მხრიდან აღარ ხორციელდება. ვიღაც წერილს გამოაპარებს რაღაც ფორმით და ინფორმაციას ისე ვიღებთ. არ მახსოვს შემთხვევა, რომ პატიმარს წერილი დაეწეროს ჩემს სახელზე, კონვერტში ჩაედოს და ის კონვერტი ციხის უფროსს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ჩემთვის არ გამოეგზავნოს. დღეს ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.



***— ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში ყოფნის პერიოდს როგორ გაიხსენებდით და, საერთოდ, რამდენად რისკის შემცველი იყო იმ პერიოდში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა?***

— ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მართლა ეროვნული ადამიანებით იყო დაკომპლექტებული, ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტია იყო. ეს ყველასთვის კარგად არის ცნობილი. პარტიის მუშაობაში საკმაოდ აქტიურად ვიყავი ჩართული. არაერთი ფაქტი მახსენდება, მათ შორის, როცა დღევანდელ საზოგადოებრივ მაუწყებელში ანუ მაშინდელ პირველ არხში მივედი და მოთხოვნებიც წავუყენე. გახსოვთ, ეროვნულ პარტიებს ეთერში გასვლის საშუალებას არ გვაძლევდნენ. მაშინ მე და ერთ-ერთი ჩემი მეგობარი, თუ არ ვცდები, ვახო ტალახაძე, შევედით ტელევიზიაში, მოვითხოვეთ ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და საეთერო დრო. ჩვენმა საუბარმა შედეგი არ გამოიღო და უარი გვითხრეს საეთერო დროზე. გამოსავალი არ იყო და იძულებული გავხდი, ტელევიზიის ხელმძღვანელის კაბინეტში შიმშილობა გამომეცხადებინა. ეს ინფორმაცია დროულად მიეწოდათ ეროვნულ ძალებს, რომლებიც ტელევიზიასთან მოვიდნენ დროშებითა და პოლიტიკური განცხადებებით. მართალია, მაშინ შიმშილობის საშუალება არ მომცეს, მაგრამ, სამაგიეროდ, საეთერო დრო დაგვითმეს. მას შემდეგ საეთერო დროსთან დაკავშირებით ეროვნულ ძალებს პრობლემა იმ პერიოდში არ შექმნიათ. აქვე გავიხსენებ ერთ ეპიზოდს, რომელიც პრეზიდენტის საპარლამენტო უმრავლესობის წევრ დილარ ხაბულიანს ეხება და რომლის დღევანდელი პოზიციაც მიკვირს. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში ედპ-მ და სხვა პოლიტიკურმა ძალებმა დავიწყეთ პარლამენტთან შიმშილობა. მაშინ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია ყვითელი ავტობუსებით იყო შემოღობილი. გამსახურდიას ხელისუფლებამ ავტობუსების პარლამენტთან დაყენების გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ჩვენ პარლამენტის სიახლოვეს არ მივსულიყავით. მე მისვლა დამაგვიანდა, ედპ მისული იყო. პარტიის წევრები სათითაოდ შეიპარნენ, პარლამენტის წინ, მოედანზე დასხდნენ და შიმშილობა გამოაცხადეს. როგორც იქნა, მოვახერხე, გადავძვერი კარვებიდან და მეც მოედანზე დავჯექი. გადაწყვიტეს პოლიციის კორდონის მეშვეობის ჩვენი დაშლა. ამ დროს შს მინისტრი დილარ ხაბულიანი იყო, რომელიც იქვე ახლოს, ტრიბუნაზე იდგა. ბავშვობიდან მასთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. მაშინ ძალოვნებმა ზოგი ჯიკაობით, ზოგი მიწოლით გაიყვანეს მიმდებარე ტერიტორიიდან. დავრჩი პოლიციის ალყაში მარტო მე. უცებ ვხედავ, ჩვენს მეგობარ მამუკა ჯორჯიაშვილს, რომელიც აფხაზეთის ომში დაიღუპა, მიათრევს ორი პოლიციელი. არ ვიცი, რა ძალა მომეცა, სამ პოლიციელს უცებ დავეჯაჯგურე და 10 წუთით მამუკა პოზიციებზე შევინარჩუნე. ჯორჯიაშვილი მაინც გაიყვანეს პოლიციელებმა და ვგრძნობ, რომ მალე უნდა გავილახო. ბუნებრივია, ამ მომენტში მზად ვარ როგორც თავდაცვისთვის, ისე თავდასხმისთვის. ამ დროს მესმის ვიღაცის ხმა — ხელი არ დააკაროთ! ვგრძნობ, ვიღაცამ ხელი უნდა დამარტყას და უცებ ვიღაც გადამეფარა. ეს დილარ ხაბულიანი იყო. ყურში ჩამჩურჩულა მინისტრმა ხაბულიანმა — აქ რას აკეთებ, წადი აქედანო. მერე ერთ-ერთ დეპუტატს გადააბარა ჩემი თავი — გაიყვანეთო.

***— ბოლოს მაინც გაგიყვანეს?***

— ვერ გავყავდი. ერთ-ერთმა კარგი გამოსავალი ნახა — მოდი, კარავში შევიყვანოთო. გახსოვთ გამსახურდიას პერიოდში კარვის ქალების ისტორია? ოღონდ იქ არ მოვხვედრილიყავი, დღესაც მახსოვს, როგორ გადავძვერი ავტობუსებზე, იმიტომ რომ, იმ კარავში ქალებთან შესვლა საშინელება იყო. არ დაიჯერებთ, როგორც კი პარლამენტთან ფეხით დამინახავდნენ, ეს ქალები რუსთაველის მეტრომდე მწყელიდნენ. ამ ფაქტის შემდეგ ირინა სარიშვილი საავადმყოფოში მოხვდა. მივიღეთ ინფორმაცია, რომ შეიძლებოდა სარიშვილი დაეპატიმრებინათ. ჩემი მანქანით გავვარდით, როგორც კი გავიგეთ. რამდენიმე მეგობარი გამომყვა და ირინა სარიშვილი საავადმყოფოდან გამოვაპარეთ, ფაქტობრივად, მოვიტაცეთ. ამის შემდგომ ტელევიზიასთან გადავინაცვლეთ ეროვნულმა ძალებმა, ასე ვთქვათ, გამსახურდიას მაშინდელმა ოპოზიციამ. უამრავი ფაქტის გასხენება შეიძლება. მაშინაც შლიდნენ აქციებს, მაგრამ ხელს არ გვაკარებდნენ, ჩაგვსხამდნენ ავტობუსებში და ქალაქიდან გაგვიყვანდნენ ხოლმე.

***— ეროვნული მოძრაობის პერიოდში ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა. როგორ გაიხსენებდით ეკლესიასთან პირველ კავშირებს?***

— სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში ეკლესია ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. უწმინდესი მაშინაც და დღესაც ყოველთვის ახლოს იყო თავის ხალხთან და ხალხის გვერდით იდგა. უწმინდესი ყოველთვის არიგებდა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს, უსმენდა მათ და ჭეშმარიტების გზაზე აყენებდა. დღეს კათოლიკოს-პატრიარქს ნამდვილად სჭირდება უსაფრთხოება. იმ პერიოდში აზრადაც არავის მოუვიდოდა, რომ უწმინდესისთვის შეიძლებოდა ლაფი შეესხათ, მის სიცოცხლეს საფრთხე დამუქრებოდა და ა.შ. აქედან გამომდინარე, უწმინდესთან შეხვედრა პრობლემა არ იყო. მე, პირადად, მსგავსი პრობლემა არასოდეს მქონია. უწმინდესის სიტყვა ყოველთვის გადამწყვეტი იყო, თუნდაც 9 აპრილს, როდესაც უწმინდესმა თქვა, ეკლესიაში შევიდეთ და ვილოცოთო. ერთი-ორი ადამიანის ხმამაღალმა ნათქვამმა სიტყვამ გადაწყვიტა პროცესი. სასულიერო პირებთან ურთიერთობისას ყოველთვის დიდი რიდი მაქვს. განსაკუთრებით მინდა ვთქვა, რომ ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ რწმენამ შეასრულა. 10-15 წლის წინ ჩემს ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. მხოლოდ ლოცვით, ეკლესიაში სიარულითა და კვეთებულების ლოცვით, ზიარებებით გამოვედი. იმდენად ცუდად ვიყავი, რომ პირველი ზიარება ლოგინში მივიღე. მოძრაობა მიჭირდა და მოძღვარმა ლოგინში მაზიარა. სწორედ პირველი ზიარების შემდგომ გადავდგი პირველი ნაბიჯები ჯანმრთელობის გაუმჯობესების კუთხით. ამის შემდეგ დედათა მონასტერშიც ვიყავი. ჩემი მეგობარი დღესაც იხსენებს, ოღროჩოღრო გზაზე რომ მივდიოდით, სარკეში თვალს ვაპარებდი, სული არ ამოსძვრესო (იმდენად ცუდად ვიყავი).

***— თუ არ ვცდები, ონკოლოგიურ საავადმყოფოში შემდგომ მეტსახელიც კი შეგარქვეს, გამოჯანმრთელებულს რომ გხედავდნენ...***

— ონკოლოგიურში რომ მივდიოდი და მხედავდნენ, იძახდნენ, კიბოს მჭამელი ქალი მოვიდაო. გივი ყვარელაშვილი კი იცინოდა, კიბოს კიბო რას უზამსო. მე საკუთარმა რწმენამ გადამარჩინა. ვგიჟდები, როცა პატრიარქთან მიმართებით დღეს ასეთ რაღაცებს ვისმენ და ვხედავ. თუთბერიძეს ვერ ავყვები, მაგრამ ზოგადად ამ სიტუაციას შეიძლება თავი შევაკლა. იმედია, თუთბერიძის უკან მდგომებს ჭკუა ეყოფათ, რომ შეჩერდნენ და ეს ანტიეკლესიური კამპანია ფართოდ აღარ გაშალონ. წარმოუდგენელია, რაც ახლა ხდება. ეს არის ჩვენი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. არა მგონია, პატრიარქის წინააღმდეგ გალაშქრება ამ ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგებით დამთავრდეს.

## მოსამართლემ ნოდარ ეფრემიძეს მუხროვანის აბოხებულთა პროცესის მონიტორინგი შეუჩერა

თბილისის საქალაქო სასამართლოში, მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა სასამართლო პროცესიდან, მოსამართლემ ნოდარ ეფრემიძე გააძევა. ეფრემიძე სასამართლო პროცესის დაწყებიდან დღემდე პროცესის მონიტორინგს ახორციელებდა და სოზარ სუბარის სახალხო დამცველობის პერიოდში, ომბუდსმენის აპარატში სამხედრო მოსამსახურეების უფლებების დაცვის საკითხებში, ომბუდსმენის თანაშემწე იყო. როგორც „მედიანიუსს“ ნოდარ ეფრემიძემ განუცხადა, სასამართლო სხდომაზე მოსამართლის გაღიზიანება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა ჟესტიკულაციით მოიკითხა, ხოლო თავად ამ მოკითხვას ასეთივე ფორმით უპასუხა, რომ თავს მხნედ გრძნობდა.

ეფრემიძის თქმით, სასამართლო პროცესიდან ჩამოშორების რეალური მიზეზი სხვა გარემოებაა და 30 ოქტომბერს მოწყობილ იმ აქციას უკავშირდება, რომელიც მუხროვანის ამბოხების სასამართლო პროცესის ობიექტურობას ეხებოდა.

— მე სასამართლო პროცესის ყველა მონაწილესთან და მათ ოჯახებთან მჭიდრო კონტაქტი მაქვს და ვიცი, რომ ეს ბიჭები დამნაშავეები არ არიან. მოსამართლის ეს გადაწყვეტილება ამ ოჯახების მიმართ იმის წარმოჩენას ემსახურებოდა, რომ დავესაჯე, თუმცა სამართლიანობისთვის თავდადებაში ასეთი გადაწყვეტილებები დამაბრკოლებელი არ არის. 23 ნოემბერს ჩვენ ახალ აქციას ვგეგმავთ, სადაც საზოგადოებას ვაჩვენებთ, თუ რეალურად როგორი ბიჭებია დღეს სასამართლოს სკამზე, — განაცხადა ეფრემიძემ.

მისივე თქმით, აპირებს ადვოკატის მეშვეობით სასამართლოს თხოვნით მიმართოს, რათა პროცესებზე დაშვების შესაძლებლობა მიეცეს.

**მედიანიუსი**

## კორუფციის დონე საქართველოში მცირედით შემცირდა

კორუფციის დონე საქართველოში მცირედით შემცირდა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2009 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ შედეგების მიხედვით. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ შემუშავდა და გამოქვეყნდა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სათავო (ბერლინის) ოფისის მიერ. საქართველოს ინდექსი ეყრდნობა ექვსი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის და ფინანსური ინსტიტუტის მიერ 2008-2009 წლებში ჩატარებული შვიდი კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც საქართველო 180 ქვეყნიდან 66-ე ადგილზე გავიდა და 4.1 ქულა მიიღო. გასულ წელს საქართველოს ქულა 3.9 იყო.

კვლევების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ საქართველოს ქულის ზრდის მიზეზებს შორის მთავარი კორუმპირებული მოხელეების გახმაურებული დაპატიმრებები, საჯარო მოსამსახურეების ხელფასების გაზრდა, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება და ზოგადად, ბიზნეს კანონმდებლობის დახვეწა და ეკონომიკური მართვის სისტემის გაუმჯობესებაა.

შედარებით უარყოფითად ფასდება დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის ხარისხი, კონკურენციის სისტემა, საკუთრების უფლების დაცვა და ხელისუფლების ზედა დონეზე არსებული კორუფციის შემცირება.

**მედიანიუსი**

## ახალგაზრდებს სტუდენტთა დღე მიულოცეს

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველომ“ სტუდენტებს და მათ პროფესორ-მასწავლებლებს სტუდენტთა საერთაშორისო დღე მიულოცა. ამასთან დაკავშირებით მათ საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

— დღეს ჩვენს ქვეყანას მძიმე ჟამი უდგას. უხვად დაგროვდა საგარეო თუ საშინაო პრობლემები, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროში. დეკლარირებული ავტონომია უნივერსიტეტების ადმინისტრაციებმა გააიგივეს აბსოლუტურ უკონტროლობასთან, სუბიექტივიზმსა და შეუზღუდავ ძალაუფლებსთან; დაუფარავად პოლიტიზებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა; ხშირ შემთხვევაში გადაულახავი სირთულეებია განათლების მიღებასთან დაკავშირებით: მოსახლეობის უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე შეუსაბამოდ მაღალია ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების ხარჯები, რაც გამოწვეულია იმით, რომ ეროვნული გამოცდების შინაარსი მოწყვეტილია სასკოლო პროგრამებისგან, ასევე მაღალია სწავლის საფასური უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, — აღნიშნულია განცხადებაში.

პარტიაში მიიჩნევენ, რომ მხოლოდ განათლება და პროფესიული ცოდნა არის საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზების, მდგრადი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველი. აქედან გამომდინარე, ისინი განათლებისა და მეცნიერების მაღალი დონის უზრუნველყოფას სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ მიმართულებად ასახელებენ.

— ვინ, თუ არა საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, უნდა იტვირთონ იმ ბრძოლის ავანგარდში დგომის პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენს სამშობლოს გამოიყვანს შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან. მხოლოდ ახალგაზრდულ ჟინსა და შემართებას ძალუძს სტიმული მისცეს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზე ორიენტირებული ჯანსაღი საზოგადობრივი მისწრაფებებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებას და საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა ღირსეულ სუბიექტად აღიარებას, — ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ინტერპრეს-ნიუსი**

# ლაღიძემ საზოგადოებრივ მაუწყებელს აქცია მოუწყო

**გუშინ საზოგადოებრივ მაუწყებელთან პარტია „მომავალი საქართველოს" ლიდერმა გიორგი ლაღიძემ აქცია გამართა, აქციას არასამთავრობო ორგანიზაციებიც შეუერთდნენ. აქციის მონაწილეები საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ინფორმაციების გაშუქებას მოითხოვდნენ. პარტიის ლიდერ გიორგი ლაღიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან მათი ღონისძიებები არ გაშუქდება, ისინი პერმანენტულ აქციებს დაიწყებენ.**

შორენა გონგლაძე



**გიორგი ლაღიძე, პარტია „მომავალი საქართველოს" თავმჯდომარე:**

— ჩვენ საზოგადოებრივი არხისგან მოვითხოვთ ინფორმაციების ობიექტურად გაშუქებას. ძალიან ბევრი ღონისძიება შეგნებულად იბლოკება საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან, ისინი სრულ იგნორირებას უკეთებენ თავისუფალ სიტყვას. ამასთან ერთად, არ აშუქებენ ჩვენი პარტიის მიერ დაგეგმილ მთელ რიგ ღონისძიებებს. ჩვენთვის გაუგებარია რას ემსახურებსა საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაშინ როდესაც, მათ პირდაპირ ევალებათ ყველა ღონისძიების გაშუქება. ეს არის ხალხის ტელევიზია, ის ფინანსდება თითოეული ჩვენთაგანისგან და ამიტომაც უნდა იქნეს გათვალისწინებული ხალხის ინტერესები, რაც არ ხდება. ჩვენი დღევანდელი აქცია არის გამაფრთხილებელი ხასიათის, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან გაგრძელდება ისევ ანალოგიური ქმედებები, ინფორმაციის დაბლოკვები, იგნორირება, ამ შემთხვევაში ჩვენ დავიწყებთ ფართომასშტაბიან აქციებს. ამასთან ერთად, ჩვენ ამ კვირაში შეგვაქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში. თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის ამ უკანონო ქმედებებს არ შეწყვეტს, ჩვენ მათგან გვექნება არაერთი მოთხოვნა. ამასთან ერთად, ჩვენ უკვე გაგვიჩნდება სხვადასხვა სახის მოთხოვნები, როგორიც არის გია ჭანტურია და გახელაძის გადაყენება. ეს საკითხი ჯერ არ დგას დღის წესრიგში, ეს არის გამაფრთხილებელი აქცია. ჩვენ ამ კვირაში კიდევ ერთხელ გავმართავთ აქციას და დაველოდებით მოვლენების განვითარებას. ამის შემდეგ უკვე აქციები მიიღებს პერმანენტულ ხასიათს.

***— თქვენ მხოლოდ თქვენი პარტიის საქმიანობის გაშუქებას მოითხოვთ თუ ზოგადად გაქვთ პრეტენზიები?***

— აქ არიან არასამთავრობო ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები, რომლებიც ასევე აპროტესტებენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ ქმედებას. ჩვენ უკვე შემდგომ აქციებს გავმართავთ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, ვინაიდან ეს პრობლემა ყველას აწუხებს. რაც შეეხება სარჩელს, სარჩელი შედის უშუალოდ ჭანტურიასა და გახელაძის წინააღმდეგ.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, მიიღებთ შედეგს ამ პროტესტით, როცა სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა აქციები იგივე მოთხოვნით?***

— ჩვენ ვაპირებთ მივმართოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატურ კორპუსს. რომ გამოდის ხელისუფლება და აცხადებს, დაიწყო დემოკრატიის ახალი ტალღაო. ამ დროს არანაირი ტალღები არ არის დაწყებული, სრული იგნორირება უკეთდება საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. მხოლოდ აშუქებენ იმას, რაც აწყობს ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე. ჩვენ ძალიან მიზანმიმართულად დავიწყებთ კამპანიას ამ უსამართლობის წინააღმდეგ.

**გელა ჩივაძე, პარტიის გენერალური მდივანი:**

— მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პროტესტი არის ნამდვილად საფუძვლიანი, ვინაიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი ეს არის ხალხის ტელევიზია და ის ვალდებულია ემსახურებოდეს საზოგადოებას და გამომდინარეობდეს ხალხის ინტერესებიდან, რაც ნამდვილად არ ხდება. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების მითითებებს. არაერთი ღონისძიება ჩაუტარებია ჩვენს პარტიას, რომელიც ნამდვილად საინტერესო იყო საზოგადოებისთვის, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლისგან არ გაშუქებულა. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა შეგნებულად ბლოკავს თავისუფალ სიტყვას.

**ბელა გულიაშვილი, აქციის მონაწილე:**

— მე ვთვლი, რომ რასაც აკეთებს საზოგადოებრივი მაუწყებელი, არის დიდი სირცხვილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი სიტყვა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლება. თუ ჩვენ გვინდა, რომ ავაშენოთ ნამდვილად დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფო, პირველ რიგში, უნდა იქნას თავისუფალი სიტყვის უფლება დაცული, რაც პირდაპირ ევალება საზოგადოებრივ მაუწყებელს. ეს ტელევიზია უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა ხელისუფლებას. მე პირადად ვთვლი, რომ დღეს საქართველოში თავისუფალი მედია არ არსებობს, რაც ნამდვილად ცუდად აისახება ქვეყნის იმიჯზე.

**მაკო გურჩიანი, აქციის მონაწილე:**

— მე ვარ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, დღეს ჩემი აქ მოსვლის მიზეზი არის ის, რომ ვსწავლობ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე და აქედან გამომდინარე, პატივს ვცემ თავისუფალ სიტყვას. მსურს, რომ როდესაც დავამთავრებ ჟურნალისტიკას, ჩვენს ქვეყანაში არსებობდეს თავისუფალი მედია, სადაც ბუნებრივია, იარსებებს სიტყვის თავისუფლება. ვთვლი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა საკუთარ ინტერესებს.

## „ჩვენი მწერლობის" დარბაზში ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლი გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" დარბაზში თინათინ ელბაქიძის მონაწილეობით ერთი მსახიობის პუბლიცისტური თეატრის სპექტაკლი გაიმართა.

სპეტაკლის სცენარი მაკა ჯოხაძის, ლევან ბრეგაძის, იოსებ ჭუმბურიძის და როსტომ ჩხეიძის წერილებიდან ამონარიდებზე შეიქმნა.

როგორც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, ერთი მსახიობის თეატრი 1980 წლის 5 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა.

მისივე თქმით, სამწუხაროდ, თინათინ ელბაქიძეს კარგა ხანია სპექტაკლი არ ჰქონია. ძალიან სასიხარულოა, რომ ეს დღეს პირველად განახლდა „ჩვენი მწერლობის" დარბაზში.

როსტომ ჩხეიძის განცხადებით, ძალიან საინტერესოა ოთხი დამოუკიდებელი ავტორის წერილებიდან ეს სცენარი რომ შეიქმნა.

— ჩვენ ბევრი გვაქვს საერთო და ეს საერთო მარჯვედ მოძებნა და შექმნა სცენარი იოსებ ჭუმბურიძემ „სამშობლო, როგორც უფალი, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

სპექტაკლი ეხებოდა სამშობლოს სიყვარულს. საუბარი იყო საქართველოს აზია-ევროპული ორიენტაციის შესახებ. ამასთან, მოყვანილი იყო მაგალითები მეოცე საუკუნის ოციანი წლების დროიდან, როდესაც აზია-ევროპის საზღვარზე მდებარე ჩვენი ქვეყნის მომავალი დადგა დღის წესრიგში და ინტელიგენციის განსჯის საგანი გახდა. საუბარი იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ამ წერილებში ჩაქსოვილი იყო დიდი ქართველი მწერლების მოსაზრებები.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ სცენარზე დისკუსია გაიმართა. დასწრე საზოგადოებამ თინათინ ელბაქიძეს ამ სცენარის ორიგინალურად წარმოჩენისთვის მადლობა გადაუხადა. ამავე დროს იმედი გამოთქვეს, რომ მსგავსი ღონისძიება კიდევ გაიმართება.

როგორც როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, თინათინ ელბაქიძე, თავის დროზე, ძალიან კარგ საქმეს აკეთებდა. ერთი მსახიობის თეატრი ყოველ დროში არის მნიშვნელოვანი ყველა ქვეყანაში, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როცა უმძიმესი პოლიტიკური რეალობაა, იქ კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს. მის ერთმანეთზე უკეთეს სპექტაკლებს დგამდა. ძალიან კარგია, რომ ეს თეატრი განახლდა. დღევანდელი დღე იქნება დასაბამი ამ განახლების, ეს ერთჯერადი ღონისძიება არ იქნება. ასეთი ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს, სხვა სპექტაკლებიც უნდა მომზადდეს, რადგან თინათინ ელბაქიძე ჩვენს დღევანდელობას ძალიან სჭირდება.

განხილვაში ნომაწილეობდნენ მწერლები და მეცნიერები: ნინო ციმაკურიძე, ლევან ქურციკაშვილი, სალომე კაპანაძე, ვახტანგ ბახტაძე, ნინო ქუთათელაძე, ემზარ კვიტაიშვილი, ზვიად კვარაცხელია, მაკა ჯოხაძე.

გორის სამწერლო ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯემალ ინჯიამ გამოთქვა სურვილი, რომ ეს სპექტაკლი გორშიც განხორციელდეს.

როგორც მან აღნიშნა, მწერლების შემოქმედების ამონარიდები იყო კომპოზიციებად შეკრული და აერთიანებდათ ერთი იდეა — მამულის სიყვარული. დღეს ჩვენს მამულს სჭირდება მწერლის ხმა და ეს ხმა საზოგადოებამდე ოსტატმა თინათინ ელბაქიძემ კარგად მიიტანა.

**მედიანიუსი**

# საქართველოში ღორის გრიპის 71 შემთხვევა დაფიქსირდა

ნონა ცაბაძე




## პანიკის საფუძველი არა გვაქვს

H1N1 ვირუსთან, იგივე ღორის გრიპთან დაკავშირებით მოსახლეობაში პანიკა დღითიდღე მატულობს, იზრდება დაავადებულთა რიცხვიც. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ვირუსის 71 შემთხვევაა დაფიქსირებული. შექმნილ ვითარებას პარლამენტის დეპუტატებიც გამოეხმაურნენ და უკრაინა-საქართველოს შორის საზღვრის დაკეტვა მოითხოვეს. მოსახლეობაში ატეხილ პანიკას უსაფუძვლოს უწოდებს ჯანდაცვის სამინისტრო და ვერც საზღვრის ჩაკეტვის აუცილებლობას ხედავს. მიიჩნევენ, რომ შექმნილი ვითარება პანიკის საფუძველს არ იძლევა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა" დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე შოთა ცანავას ესაუბრა:

***— ბატონო შოთა, პარლამენტში დეპუტატებმა საზღვრების დაკეტვა და კარანტინის გამოცხადება მოითხოვეს. რამდენად ხედავთ დღეს ამის საჭიროებას?***

— დღეს ჩვენ ვერ ვხედავთ ამის საჭიროებას და აუცილებლობას, საზღვრების დაკეტვას ვგულისხმობ. ვერანაირი საზღვრის დაკეტვა ვერ შეაჩერებს ვირუსის ან ნებისმიერი მიკროორგანიზმის შემოსვლას ქვეყნის ტერიტორიაზე. კარანტინი ამ შემთხვევაში არ არის ეფექტური მეთოდი.

***— მაშინ, რა მეთოდებია ეფექტური? დღეს მოსახლეობა პანიკაშია...***

— მოსახლეობა პანიკაში არ უნდა იყოს, იმდენად, რამდენადაც ადგილი აქვს ჩვეულ მატებას, სეზონურ მატებას გრიპის შემთხვევისა. ამაში არაფერი არ არის უჩვეულო.

***— არ არსებობს პანიკის საფუძველი?***

— არავითარი პანიკის საფუძველი არა გვაქვს. ამ ტიპის დაავადებათა რიცხვი იზრდება წელიწადის მოცემული დროისთვის. ჩვენ ისეთი ადგილმდებარეობის ქვეყანა ვართ, ახლა შემოდგომა-ზამთრის ანუ აცივების პერიოდია, ამასთან ერთად, ამ ტიპის ვირუსული ინფექციებიც. არავითარი უჩვეულო და საპანიკო ამაში არ არის.

***— საუბარია ღორის გრიპზე და არა, უბრალოდ, ვირუსზე...***

— ესეც იგივე გრიპის ვირუსია, თავისი ბიოლოგიური თვისებებით. მისი კლინიკური სურათი იგივეა, რაც სეზონური გრიპი დროს.

***— მაშინ, რატომ არის მომაკვდინებელი?***

— არც ერთი გართულებული შემთხვევა ჯერჯერობით არა გვაქვს. ყველა შემთხვევა, რომელიც დაფიქსირდა საქართველოს ტერიტორიაზე, იყო მსუბუქი და საშუალო სიმძიმის. რატომ არის მომაკვდინებელი, ვინ დაარქვა?

***— უკრაინაში ასობით ადამიანი იღუპება...***

— უკრაინაშიც და მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც ძალიან დიდია ლეტალობა, მაგრამ არ არის იმაზე მეტი, ვიდრე სხვა ტიპის ვირუსებით გამოწვეული შემთხვევების დროს.

***— როგორია დღევანდელი მონაცემები, რამდენი დაავადებული ფიქსირდება?***

— დღევანდელი მონაცემებით 71 შემთხვევაა დაფიქსირებული. მათ შორის არიან ბავშვებიც, თუმცა მათი ციფრი ძალიან მცირეა.

***— მედიკამენტების საჭირო მარაგი თუ არსებობს ქვეყანაში, იმ შემთხვევაში, თუ დაავადება პიკს მიაღწევს?***

— ამის შესახებ არაერთხელ გაცხადდა, რომ ანტივირუსული პრეპარატების მარაგი ქვეყანაში საკმარისია. ამ თვალსაზრისით ქვეყანა მომზადებული ხვდება ვირუსების მატებას. გაგიმეორებთ, რომ დღეს პანიკის საფუძველი არ არსებობს. ჩვენ ადგილი გვაქვს გრიპის პანდემიასთან მსოფლიოში და საქართველოც იმყოფება ეპიდემიის ზღვარზე.

***— დაავადება პიკს როდის მიაღწევს?***

— უფრო დეკემბერ-იანვარშია მოსალოდნელი ვირუსის მატება, შეიძლება შემდეგ დაიწიოს და მერე ისევ ახალი ტალღა დაიწყოს. ეს დამახასიათებელია ამ ტიპის ვირუსისთვის. შემთხვევების მატება აუცილებლად იქნება, რადგან ეპიდემიის ზღვარზე ვიმყოფებით. დღეს საზღვრის დაკეტვის აუცილებლობა არ არსებობს. საჭიროების შემთხვევაში ამის შესახებ განცხადებას შესაბამისი სამსახურები გააკეთებენ.

***— განსაკუთრებით დიდია პანიკა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში...***

— განსაკუთრებული პანიკა იმიტომ არის, რომ ეს გაუთვითცნობიერებლობის ბრალია. ეს ვირუსი ზამთრის პერიოდში 7 საათი ძლებს გარემო ობიექტებზე, ანუ მერხებზე, სკამებზე, სასწავლო ნივთებზე და ასე შემდეგ, ანუ ბავშვმა რომ დაამთავრა დღეს სამ საათზე სწავლა და წავიდა სახლში, 7 საათის შემდეგ იქ ვირუსი აღარ იქნება ცოცხალი. დილით რომ მიდის ბავშვი ხელახლა სასწავლებელში, ის ვერ დაინფიცირდება სკოლაში ვერანაირად, ერთადერთი, შეიძლება დაინფიცირდეს დაავადებულ ადამიანთან კონტაქტის დროს. სკოლის დეზინფექციასა და დაკეტვას ამ შემთხვევაში არანაირი აზრი არა აქვს. სველი წესით დაამუშაონ და გაანიავონ ოთახი. ეს საკმარისია. სკოლის ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ იმ ბავშვების დროული იზოლაცია მოახდინონ, რომლებსაც აქვთ ეს სიმპტომები.

***— თუ უწევთ რეკომენდაციას, რომ სკოლებში ბავშვებმა ნიღბებით იარონ?***

— როდესაც ქალაქში ვხედავ, რომ ნიღბებით დადიან, ეს ფაქტი მსიამოვნებს, რადგან ეს ადამიანები ზრუნავენ სხვების ჯანმრთელობაზე. სასურველია, თუ ნიღბებს ატარებენ, მაგრამ ნიღბის ტარებასაც აქვს თავისი წესი. ოთხ საათზე მეტი არ უნდა ატარონ. ერთი და იგივე ნიღაბი უნდა გამოვცვალოთ, არ უნდა შევაბრუნოთ და მეორე მხრიდან არ უნდა გავიკეთოთ. ასე რომ, ნიღაბიც ერთ-ერთი პრევენციულ-პროფილაქტიკური ღონისძიებაა და მექანიკური ბარიერია იმისა, რომ ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე არ გადავიდეს. ვიტყვი, რომ მისასალმებელი ღონისძიებაა.

## საქართველოში ღორის გრიპის 6 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

საქართველოში ეიჩ1ენ1-ის ვირუსის 6 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაციით, ყველა შემთხვევა ლაბორატორიული წესით უკვე დადასტურდა.

ვირუსით დაავადებულები სახლში მკურნალობენ.

ამ ეტაპზე საქართველოში ეიჩ1ენ1-ის 71 შემთხვევაა დფიქსირებული. არც ერთ მათგანს გართულება არ მოჰყოლია.

**მედიანიუსი**

## „ჭიათურ-მანგანუმის" კრედიტორები რკინიგზის გადაკეტვას აპირებენ

თბილისში, გაეროს ოფისის წინ ჭიათურის რაიონის მცხოვრებთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. აქციის მონაწილეები „ჭიათურ-მანგანუმის" 18 კრედიტორია, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ან სხვა რომელიმე მაღალი რანგის თანამდებობის პირთან შეხვედრას ამ დრომდე ამაოდ ელიან.

როგორც „მედიანიუსს" კომპანიის ერთ-ერთმა კრედიტორმა ასმათ ქურცაძემ განუცხადა, დღეს გაეროს ოფისს საქართველოში ოფიციალური წერილით მიმართეს, რათა შუამდგომლობა გაწიოს პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრისათვის.

ასმათ ქურცაძის თქმით, იმედგაცრუებულია, რადგანც დედაქალაქში არც ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ პოლიტიკური სუბიექტი არ აღმოჩნდა, რომელიც სოლიდარული იქნებოდა დაყენებული მოთხოვნებისათვის. „ამდენი ხეიბარი ადამიანის შემყურე, რომლებიც კუთვნილ თანხას ითხოვენ, არავინ გამოგვხმაურებია. გაეროდან გვაცნობეს, რომ პრეზიდენტი უკრაინაში მიემგზავრება, ხოლო მედიამ ერთადერთი ოპოზიციური არხის გარდა, ყურადღებაც კი არ დაგვითმო. ერთადერთი, რაც დამრჩენია, აქცია შევწვიტო და ჭიათურაში დავბრუნდე, თუმცა სამართლიანობისთვის ბრძოლა გრძელდება. ხვალიდან ჭიათურის ფეროს რკინიგზის გადაკეტვას მივმართავთ. - განაცხადა ქურციძემ.

აქციის მონაწილეები პრეზიდენტის მიმართ შეხვედრისთვის წაყენებულ 72-საათიან ულტიმატუმს აუქმებენ.

— რა აზრი აქვს ულტიმატუმს, როცა ქვეყანაში ყველაზე მთავარი — სამართლიანობის უფლებაა დარღვეული. ჩვენ ხელთ გვიჭირავს უზენაესი სამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს ჩვენთვის მოსაცემ 185 ათასი ლარის დავალიანებების გადახდას 2009 წლის მარტამდე ავალდებულებდა. გვსურს აგვიხსნას პრეზიდენტმა, რატომ გააქრეს რუკიდან ქალაქი ჭიათურა, სადაც დღემდე მილიონები კეთდება. ამ ქალაქს ხელისუფლება საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს. 380-ე დღეა, ჭიათურ მანგანუმის 4 კრედიტორი და მაღაროში მუშაობის დროს დაინვალიდებული 14 ადამიანი ჭიათურაში აქციას მართავს, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება მას ყურადღებასაც კი არ აქცევს, — აცხადებს მომიტინგეთა სახელით ასმათ ქურციძე.

**მედიანიუსი**

# კავკასიურ სახლში რეპრესირებულ ქალებს იხსენებენ

ნატა კობი ე



თუკი ამ დღეებში კავკასიურ სახლს ესტუმრებით, იქ მისულებს კარგი განწყობა ნამდვილად არ დაგეუფლებათ, რადგან შენობაში შესვლისთანავე გასული საუკუნის 37 წელი ამოგიტივტივდებათ, რომელიც მსოფლიო ისტორიაში რეპრესიების არნახული, შემზარავი მასშტაბითა და შედეგებით შევიდა. კავკასიურ სახლში გახსნილი გამოფენა სწორედ ასეთ ქალბატონებს ეძღვნება. მათი სიცოცხლე მავანმა მხოლოდ იმიტომ შეიწირა, რომ ისინი უსამართლოდ დაპატიმრებულთა მეუღლეები, დედები, შვილები ან დები იყვნენ.

ამ გამოფენამ ცნობილი დირიჟორის, ევგენი მიქელაძის ქალიშვილი, თინათინი გამახსენა, რომლის მამა იმდროინდელმა ხელისუფლებამ სიცოცხლეს უმოწყალოდ გამოასალმა, დედა კი სამუდამოდ ციმბირის გზას გაუყენა. მცირეწლოვანი ვახტანგისა და თინას აღზრდა ძიძამ აიღო საკუთარ თავზე. გადასახლებიდან დაბრუნებულ დედას კი შვილები 18-წლიანი პაუზის შემდეგ შეხვდნენ, მაშინ, როცა ცხოვრების უმძიმესი წლები უკან დარჩა...

მე მქონდა ბედნიერება, თინა მიქელაძეს 75 წლის ასაკში შევხვედროდი და მისი ოჯახის ისტორია მომესმინა, რომელიც, სამწუხაროდ, ტყუპისცალივით ჰგავს სხვა ცნობილი ადამიანების ხვედრს. მაინც როგორი იყო „ქვეყნის გამყიდველთა“ გვერდით მყოფი ადამიანების, ამ შემთხვევაში ქალების — ცოლების, შვილების, დედების ბედი? ...მათ შესახებ „შინსახკომში“ თურმე ასე ბრძანებდნენ: „დააპატიმრეთ, აწამეთ, გადაასახლეთ, დახვრიტეთ!“ კავკასიური სახლის საგამოფენო დარბაზში ასეთი ბრძანების ორიგინალიც კი გამოფინეს. მის გვერდით მრავალ დოკუმენტს შეხვდებით, მათ შორის: ქალთა ბანაკების რუკას, დასახვრეტთა სანქცირებულ სიებს, რეპრესირებულთა, მათ შორის, დახვრეტილთა ფოტოებს, წერილებს, ნაქარგებსა და სხვა ნივთებს.

გამოფენის ავტორი და ინიციატორი საზოგადოება „მემორიალია“, რომლის მთავარი საქმიანობა სწორედ რეპრესირებულ ადამიანთა ისტორიას უკავშირდება. თემატიკიდან გამომდინარე, გამოფენის ნახვისთანავე მღელვარება და სევდა შეგიპყრობთ, შესაძლოა, გაჩნდეს ქვეცნობიერი შიშიც იმისა, რომ მსგავსი სისასტიკე ჩვენს საზოგადოებაში არასდროს გამეორდეს, თუმცა რეპრესირებული ქალების ცხოვრება შიშის საფუძველს ნაკლებად იძლევა, რადგან მათი გამბედაობა და მოთმინება სამაგალითოდ რჩება დღემდე თითოეული ჩვენგანისთვის.

გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი ეთმობა დახვრეტილი ქალბატონების: ვერა ასათიანის, ამელია ელიავას, ოლღა ოკუჯავას, ლიდია გასვიანის, ვერა ვარაზაშვილის, მარიამ ორახელაშვილის, ოლღა სვანიშვილის, ეკატერინე ვაშაძის, ნადეჟდა გიორგაძის, ელფრიდა დევდარიანი-შახნივიჩის, ნინო კასრაძის, ხათუნა ჭიჭინაძის, ანა მოდებაძე-სარჩიმელიას, თამარ დოლიძე-ჯიბლაძის, ეკატერინე ჯანაგოვას, ნინო ოკუჯავა-მოდებაძის, თამარ ებრალიძის ფოტოებს. მათ გვერდითაა 1936-39 და 40-იანი წლების შემდეგ რეპრესირებულთა სახეები. „მემორიალი“ გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“, შსს საარქივო სამმართველოსა და კავკასიურ სახლს, რადგან აღნიშნული გამოფენა სწორედ მათი მხარდაჭერის შედეგია.

კავკასიურ სახლში მისულ დამთვალიერებელს უთუოდ აალელვებს გადასახლებაში შესრულებული ნაქარგების, მარიამ ბოხუას კუთვნილი ხატის, ლადო ასათიანის მიერ დედის, ლიდა ცქიტიშვილისადმი (მას 10 წელი ჰქონდა მისჯილი და სასჯელს ჯერ თბილისის ციხეში იხდიდა, შემდეგ „საზლაგში“, ბოლოს კი ტაშკენტის პირველ ქალთა ბანაკში, სადაც 1942 წელს გარდაიცვალა) მიძღვნილი ლექსის ხელნაწერისა და რამდენიმე პატიმრის გათავისუფლების ცნობის ხილვა, რომელთა შორისაა ბრძანება ეკატერინე ელიავას გამოხსნის შესახებ. ეს ქალბატონი მსახიობ ლია ელიავას დედა გახლდათ. ყოველივე ამასთან სხვადასხვა წლებში რეპრესირებულთა თემაზე დაწერილ წიგნებსაც შეიძლება თვალი შეავლოთ.

საზოგადოება „მემორიალი“ 1992 წლის ივლისში დაარსდა, თუმცა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საქართველოს ხელისუფლების შეცვლა ვერ გადაარჩენს

გულიკო ბალა ე



**სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათა ე საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების შიდა და გარე ფაქტორებსა და მათ პერსპექტივაზე საუბრობს.**

როგორ უნდა ვხედავდეთ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის პერსპექტივას? — ამ კითხვას სვამს ნოდარ ნათაძე და რუსეთისაგან აგრესიის ყველაზე უარეს ვარიანტებსაც არ გამორიცხავს, მათ შორის, რუსეთის კონკრეტული მუქარის შესრულებას, რაც რუსეთის მხრიდან ბირთვულ დარტყმას შეეხება, ამავე დროს, ვარაუდობს, რომ „ბირთვული დარტყმის მუქარა“ შესაძლოა ბლეფი იყოს.

მიუხედავად ამისა, ნოდარ ნათაძე ფიქრობს, რომ რუსეთი თავისი „მცოცავი იმპერიალიზმის“, ანუ თავის საზღვრებთან მცირე ომების ტრადიციულ პოლიტიკას ცოცხალი თავით არ შეეშვება, მით უმეტეს, რომ რუსეთის დღევანდელი მმართველები უფრო მეტად პიარზე ფიქრობენ საკუთარი მოქალაქეების თვალში, ვიდრე თავიანთი ქვეყნის ისტორიულმასშტაბიან ინტერესებზე.

ნოდარ ნათაძე ყურადღებას ერთი წლის წინ რუსეთის დაკვეთით გაკეთებულ განცხადებაზე ამახვილებს. „ნუ დაგვავიწყდება, რა ულტიმატუმი წაუყენა რუსეთმა დასავლეთს ამ ერთი წლის წინ თავის აგენტ სოროსის პირით. სოროსმა თქვა, თუ ნავთობის ფასები 70 დოლარზე დაბლა დავა, რუსეთი ომს დაიწყებსო. დღეისათვის ერთი ბარელი ნავთობი 70 დოლარია. ნავთობის ფასზე დღეს რუსული პოლიტიკაც დგას და რუსის კუჭის დაკმაყოფილებაც, ამიტომ იგი რუსეთისთვის პირველხარისხოვანი ინტერესის საგანია. რომელია წამყვანი, აგრესიული პოლიტიკა თუ ეს ბლეფი? — ამ კითხვას ნოდარ ნათაძე თვითონვე პასუხობს, — ამის ზუსტად თქმა შეუძლებელია. ეს პოკერის თამაშია, ანუ დაახლოებით თანასწორი ალბათობების გარჩევის ხელოვნება და არა ბიუროკრატიული პროცედურა“.

არის თუ არა ეს გარე დარტყმის პერსპექტივა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მოქმედების ერთადერთი გეგმა? რა თქმა უნდა, არა, — ამ პასუხით ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ საქართველოს დარტყმა შიგნიდანაც ელოდება და აქცენტი ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებებზე გადააქვს.

— მე ძალიან ცუდად მენიშნა ქალბატონი ნინო ბურჯანაძის გამოსვლა რედისონში“ გამართულ შეხვედრაზე. თუ გახსოვთ, შარშანდელ აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე ქალბატონი ბურჯანაძე გამოეთიშა სააკაშვილის გუნდს. მაშინ მე შინაურ პოლიტიკურ წრეში ვთქვი: მან იცის, რომ სააკაშვილი რაღაცა განსაკუთრებული მასშტაბის ღალატს გეგმავს და ამიტომ გაურბის-მეთქი. გავიდა ცოტა ხანი და მართლაც განხორციელდა პირველხარისხოვანი სახელმწიფო ღალატი აგვისტოს ომის სახით.

ახლა ქალბატონი ბურჯანაძე გამოვიდა „რედისონში“ და თქვა: „ჩვენ რომ სააკაშვილის უკანასკნელი ინაუგურაციის დროს მისი ჩატარება დავუშვით (ანუ, იგულისხმებოდა, რომ იპოდრომზე შეკრებილი მასა ქალაქის ცენტრისაკენ არ წავიყვანეთ). ეს სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით გავაკეთეთ. რა ვქნათ, მორჩილება თავისუფლებას ვარჩიოთ?“ ამ სიტყვებსა და მიდგომაში ფუნდამენტური შეცდომაა. დიქტატორი ხელისუფლების მორჩილებასა და მასის უშუალო მოქმედებას შორის (რაც, პრინციპში“, სამოქალაქო ომია), პოლიტიკურ მოქმედებათა უფართოესი სპექტრია განლაგებული, დაწყებული ე.წ. წერტილოვანი აქციით და დამთავრებული ე.წ. სასახლის გადატრიალებით. ამ ორს შორის თავსდება პოლიტიკური „შანტაჟიც“, პიარიც, პროპაგანდაც, ხელმოწერების შეგროვებაც, „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“ მრავალგვარი ელემენტებიც და, სხვათა შორის, მასობრივი აქციებიც, მაგრამ არა მხოლოდ „რევოლუციური“ ლოზუნგით „წადი“, არამედ „რევოლუციითაც“, მაგალითად, ასეთით: „მომეცი რეალური საარჩევნო კანონი და დანიშნე ვადამდელი არჩევნები“, რომელშიც ვერავინ გისაყვედურებს ვერც ძალადობას, ვერც კანონის წინააღმდეგ სვლას. პოლიტიკურ ქმედებათა შესაძლებლობის შემოფარგვლა მხოლოდ ორი მდგომარეობით — უსიტყვო მორჩილებით, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, რევოლუციით, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდია. აბსურდული წინადადება კი საეჭვო მოქმედების ეჭვს იწვევს“.

ნოდარ ნათაძეს ასეთ ეჭვს უძლიერებს ნინო ბურჯანაძის ამასწინანდელი ტელეეკრანზე გამოჩენაც.

— ამას წინათ ქალბატონმა ბურჯანაძემ განაცხადა: ოპოზიციაში ორი მიდგომა გამოიკვეთა — ერთი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევს, მეორე კი (თუ არ ვცდები, ორატორმა სიტყვა რადიკალურიც იხმარა) პირდაპირი მოქმედების მომხრე, არჩევნების გვერდის ავლითო. სინამდვილეში არჩევნების გვერდის ავლით მოქმედება ხელისუფლების შეცვლის მიზნით სხვა ვერა იქნება რა, თუ არა ახალი ქმედუნარიანი ხელისუფლების შექმნა, როგორც ბრძოლის ხელმძღვანელისა, თავისი შეიარაღებული ძალით და ა.შ. მხოლოდ ამის შემდეგ — მისი მოყვანა საჭესთან. ეს პრინციპულად სხვა მოქმედებაა, ვიდრე ის, რაც დღეს დაკანონებული ოპოზიციის მხრიდან გვინახავს ან წარმოგვიდგენია.

ამიტომ არჩევნების გვერდის ავლა რეალურად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქუჩაში გამოიყვანოთ უორგანიზაციო მასა ლოზუნგით, ანუ ერთადერთი ლოზუნგით: „წადი“, რაც, პრაქტიკულად, სისხლიან ქაოსსა და „ბარემ“ (ხარჯი ხარჯია!) არსებული, უამისოდაც დისკრედიტებული ხელისუფლების შემდგომ დისკრედიტაციას ნიშნავს მსოფლიოს თვალში, ანუ ზუსტად იმას, რაც რუსეთის გეგმებს შეესაბამება“.

აშკარაა, რომ ნოდარ ნათაძე პოლიტიკაში რადიკალიზმის მომხრე არაა და ბურჯანაძესა და მის მსგავსად მოაზროვნე პოლიტიკოსებს იგი ბრძოლის გზას უწუნებს.

— ეს არასწორი გზაა. სწორია ქუჩის აქციების საშუალებით ხელისუფლებისაგან რეალური საარჩევნო კანონმდებლობისა და ვადამდელი არჩევნების გამოძალვა, ხოლო შემდეგ ამ არჩევნების რეალურად ჩატარება. ეს უნდა იყოს სტრატეგიული ხაზი ამ ერთ საკითხში — ხელისუფლების შეცვლის საკითხში, რომელსაც, რა თქმა უნდა, აუარებელი დამხმარე საშუალება მოეპოვება მასობრივი და ელიტური აქციებისა და სხვა ქმედებების სახით.

ნათაძის განცხადებით, ისიც უნდა მიიღებოდეს მხედველობაში, რომ ხელისუფლების შეცვლა არაა საქართველოს გადარჩენისთვის საკმარისი საქმე. იგი მხოლოდ აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი და ერთადერთი.

რა უნდა გაკეთდეს? რა აქვთ ქართველ ერსა და ოპოზიციას არსენალში საბრძოლველად, რომ ქვეყანა გადაარჩინონ?

— არ უნდა იქნეს დაშვებული ხელისუფლების კაპიტულაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში. ხელისუფლებას თვალი გაურბის ასეთი კაპიტულაციისაკენ. მას ერთი სული აქვს, რუსეთის მითითებით შექმნას „კონფედერაცია“: „საქართველო, აფხაზეთი, ოსეთი“, ანუ ისეთი „სახელმწიფო“, რომელიც დაიშლება მაშინვე, როგორც კი ერთი მონაწილე იტყვის, აღარ მინდაო.

ამის წინააღმდეგ მართლა საჭიროა ფიზიკური ბრძოლა, ნებისმიერი მასშტაბისა და სიმწვავის მოქმედებით. საჭიროა ხელმოწერების მასობრივი შეგროვება, სადაც აღნიშნული იქნება მთელი მოსახლეობის უნდობლობა არსებული ხროვის, როგორც რუსეთის აგენტურისადმი და როგორც არალეგიტიმურისადმი (ხელისუფლებაში მოსვლა არჩევნების ტოტალური გაყალბების შედეგად). ასევე საჭიროა ხელმოწერებით დადასტურება, რომ ამ ხროვას არა აქვს მანდატი, მოახდინოს კაპიტულაციები და გასხვისოს ამა და ამ კატეგორიის ობიექტები, ანუ ქართველი ერის ქონება. საჭიროა სოფლებში რეალური პარალელური თვითმმართველობის შექმნა და ა.შ.


## განცხადება აუქციონის შესახებ

2009 წლის 26 ნოემბერს 11:00 საათზე მისამართზე: თბილისი, ჯ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ტარას“ (მისამართი: მის.: თბილისი, ყიფშიძის ქ. 7, ს/ნ 202197005 ) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთები:**

- მის.: თბილისი, ბარისახოს ქ. 15, საკადასტრო კოდი 01.11.01.011.004, დაზუსტებული ფართობი 110 კვ.მ. შენობა ნაგებობების ჩამონათვალი №1;
- მის.: თბილისი, ბარისახოს ქ. 15, საკადასტრო კოდი 01.11.01.011.002, დაზუსტებული ფართობი 1808 კვ.მ. შენობა ნაგებობების ჩამონათვალი №1, №2, №3;

**გასაყიდად გამოტანილი უძრავი ნივთების საწყისი ფასია 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.**

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთებზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“

მისამართი: თბილისი, ჯ. მარჯანიშვილის ქ. №7



## განცხადება აუქციონის შესახებ

2009 წლის 26 ნოემბერს 10:00 საათზე მისამართზე: თბილისი, ჯ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ტარას“ (მისამართი: მის.: თბილისი, ყიფშიძის ქ. 7, ს/ნ 202197005 ) კუთვნილი მოძრავი ნივთების რეალიზაცია.

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი მოძრავი ნივთები:**

- მუყაოს საწარმოებელი დანადგარი “OLUKLU”;
- AGILIK 19, სერ.21, Motor 22;

**გასაყიდად გამოტანილი ნივთების საწყისი ფასია 76 000 (სამოცდათექვსმეტი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.**

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთებზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს ნივთების საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**

**მისამართი: თბილისი, ჯ. მარჯანიშვილის ქ. №7**

# ოთარ თაქთაქიშვილის 85 წლის იუბილე კონსერვატორიაში აღინიშნება

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის 85 წლის იუბილეს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ამავე სასწავლებლის საოპერო სტუდია აღნიშნავს.

ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ოთარ თაქთაქიშვილი საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნის ავტორია, რომელიც მან ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლისას სტუდენტობის პერიოდში დაწერა.

კომპოზიტორმა რვა წლის ასაკში დაიწყო მეცადინეობა მუსიკაში, მაგრამ უსახსრობის გამო მალევე შეწყვიტა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეძლო განეგრძო ფორტეპიანოზე მეცადინეობა. ის მუდმივად ცდილობდა, შეექმნა უკვე შესწავლილი ნაწარმოებების მსგავსი ნაწარმოებები. კომპოზიტორის ბიძებმა, ცნობილმა ქართველმა მუსიკოსებმა, შალვა და გიორგი თაქთაქიშვილებმა, დიდად შეუწყვეს ხელი მისი ნიჭის განვითარებას. მომავალი კომპოზიტორი ბავშვობიდანვე მღეროდა სკოლის მოსწავლეთა გუნდში. ზაფხულობით გატაცებით უსმენდა ხალხურ სიმღერებს და ზოგი მათგანის შესრულებაში თვითონაც მონაწილეობდა. ბავშვობის პერიოდში მან შექმნა პატარა საფორტეპიანო პიესები. მოსწავლეებისგან შემდგარ ორკესტრში გაწევრიანებამ კი მას საბოლოოდ გადააწყვეტინა თავისი ბედი მუსიკისთვის დაეკავშირებინა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ოთარ თაქთაქიშვილი კომპოზიციის განხრით სწავლობდა. სტუდენტობის წლებში მან მრავალი ნაწარმოები შექმნა. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ კი დარჩა ასპირანტურაში. კომპოზიტორს სამხედრო სამსახურშიც არ მიუტოვებია კონსერვატორია, მაგრამ უდროობის გამო მან საბოლოოდ თქვა უარი პიანისტობაზე. კონსერვატორიაში წარმატებულად სწავლისთვის მას დაენიშნა პერსონალური სტიპენდია. ამ პერიოდში კომპოზიტორს უკვე ჰქონდა შექმნილი ორი სიმებიანი და ერთი საფორტეპიანო ტრიო, სავიოლინო სონატა, საფორტეპიანო პიესები. ახალგაზრდა კომპოზიტორისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა 1946 წელი, მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესარჩევ კონკურსში და გაიმარჯვა კიდეც. 22 წლის ყმაწვილი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ავტორი გახდა.

კომპოზიტორი აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა დიდი საგუნდო კოლექტივის დირიჟორად, იყო საქართველოს საგუნდო კაპელის დირიჟორი, მომდევნო სამი წლის მანძილზე კი მისი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ხელმძღვანელობდა თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა გაერთიანებულ გუნდს. ამ პერიოდიდან მან პედაგოგიური მუშაობა დაიწყო კონსერვატორიის საკომპოზიციო კათედრაზე. იგი ჯერ დოცენტი, შემდეგ კი პროფესორი გახდა, აირჩიეს კომპოზიტორთა კავშირის მდივნად, მოგვიანებით კი რექტორად დაინიშნა. კონსერვატორიაში კომპოზიტორი ასწავლიდა პოლიფონიასა და კომპოზიციას. ამ ხანებში ოთარ თაქთაქიშვილი პირველად დადგა დიდი სიმფონიური ორკესტრის სადირიჟორო პულტთან, როგორც საკუთარი ნაწარმოებების შემსრულებელი. მან იდირიჟორა თავისი საყვირის კონცერტი და შემდეგ სისტემატურად დირიჟორობდა თავისსავე ოპერებს, ორატორიებს თუ ინსტრუმენტულ კონცერტებს.

საკომპოზიციო მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ოთარ თაქთაქიშვილი მიმართავდა მსხვილ სიმფონიურ ფორმებს, შექმნა პირველი და მეორე სიმფონიები, საფორტეპიანო კონცერტი, სიმფონიური პოემა „მწირი“. ამ ოთხი ნაწარმოებით განისაზღვრა თაქთაქიშვილის შემოქმედების პირველი ნახევარი. მისი შედარებით უცნობი ნაწარმოებებია ასპირანტურაში სწავლისას დაწერილი ორი სიმფონიური უვერტიურა, საორკესტრო კაპრიჩიო „მშობლიური ჰანგები“, სიმფონიური მინიატურები „ელეგია“ და „საჭიდაო“, სიმფონიური პოემა „სამგორი“.

1949 წლის 14 ნოემბერს, სიმფონიური სეზონის გახსნის დღეს, ოფიცერთა სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ოთარ თაქთაქიშვილის პირველი სიმფონიის პრემიერა, რომელსაც დირიჟორობდა ოდისეი დიმიტრიადი, სიმფონიას კი „ახალგაზრდული“ შეარქვეს. თვითონ ავტორი განსაზღვრავდა სიმფონიის შინაარსს, როგორც თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებას. ნაწარმოების ერთ-ერთ პრინციპულად მნიშვნელოვან თავისებურებას ის გარემოება წარმოადგენდა, რომ მან ქართულ სიმფონიურ მუსიკაში შემოიტანა ადრინდელი ეროვნული ეტალონებისაგან განსხვავებული დრამატურგიული კონცეფცია და სტილისტური ნაკადი, რომელიც რუსული კლასიკური სიმფონიზმის უდიდესი წარმომადგენლის პეტრე ჩაიკოვსკისგან მომდინარე ტრადიციებს უკავშირდება.

ოთარ თაქთაქიშვილმა თავისი კრიტიკული შეხედულებების ღიად დაფიქსირების გამო მალე მოწინააღმდეგეები გაიჩინა. ხელოვანები ორ ბანაკად გაიყვნენ და დაპირისპირებაც არ ჩამცხრალა. საბოლოოდ კი ეს დაპირისპირება თაქთაქიშვილის მოწინააღმდეგეთა გამარჯვებით დასრულდა. 1984 წლის იანვარში ოთარ თაქთაქიშვილი კულტურის მინისტრის პოსტიდან გადააყენეს.

1980-82 წლებში ოთარ თაქთაქიშვილმა ორი ინფარქტი გადაიტანა. ქართველი კომპოზიტორის საავტორო კონცერტი მინსკში უნდა გამართულიყო, მაგრამ რეპეტიციაზე იგი ავად გახდა. კონცერტი ჩაიშალა, ქართველი კომპოზიტორი კი ასტახოვის კარდიოლოგიურ საავადმყოფოში მოათავსეს. კულტურის მინისტრობიდან კომპოზიტორის გადაყენება ავადმყოფი ხელოვანისთვის მძიმე დარტყმა აღმოჩნდა.

ოთარ თაქთაქიშვილი 1989 წლის 21 თებერვალს ორი მრისხანე ავადმყოფობის კიბოსა და გულის ინფარქტის ერთდროული შეტევით 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. რიგის ქუჩას, სადაც კომპოზიტორი ცხოვრობდა, ოთარ თაქთაქიშვილის სახელი ეწოდა, დაარსდა ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის ფართო პროფილის საშემსრულებლო კონკურსი, სადაც სავალდებულო პირობა ოთარის ნაწარმოებთა შესრულება იყო.

კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლამდე კი ქართველი კომპოზიტორის 85 წლის იუბილე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში აღინიშნა. კონცერტის პირველი განყოფილება ფრანგულ მუსიკას დაეთმო, მეორე ნაწილი კი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორის 85 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონცერტზე გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე დაწერილი თაქთაქიშვილის 5 ვოკალური პოემაც შესრულდა.

კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის 85 წლის იუბილეს კონსერვატორიაში 18 ნოემბერს აღნიშნავენ. საოპერო სტუდია წარმოადგენს კომპოზიტორის კომიკურ, ორმოქმედებიან ოპერას „პირველი სიყვარული“, რომლის ლიბრეტოს ავტორი რეზო გაბრიაძეა. სპექტაკლში საოპერო სტუდიის სოლისტები, გუნდი და ორკესტრი იღებს მონაწილეობას.

წარმოდგენის მუსიკალური ხელმძღვანელი და დამდგმელი დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილია, ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი — ზაზა აღლაძე, მხატვრები — ეთო ტურაბელიძე, გიორგი კოვზიაშვილი, გიორგი უსტიაშვილი, ლევან ტულუში, ქორმაისტერი — მიხეილ ედიშერაშვილი, კონცერტმაისტერები — ნ. ზაქაიძე, ნ. ცუცქირიძე, სოლო ვიოლინო — თ. აფაქიძე, საოპერო სტუდიის მენეჯერი კი ირინა რამიშვილია. სპექტაკლი ოთარ თაქთაქიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავს ეძღვნება.


შპს „კედარი 2000“-ის დირექტორი იწვევს საზოგადოების პარტნიორთა რიგგარეშე კრებას.

**დღის წესრიგი:**

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა. კრება ჩატარდება ქ.თბილისში მეველის შესახვევი №2, 25 ნოემბერს, 14 საათზე.



ამა წლის 22 ნოემბერს ქ. თბილისში, სამების ტა არში ნოზაძეების გვარს დალოცავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე:**

897-17-91-95; 899-535-444.


# მეფეს ქეთათო სოლოკონცერტს მიუძღვნის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჯგუფ „არიშთან“ ერთად. მუსიკოსის შემდეგი ჯგუფი ნაკლებად ცნობილი ინდი ჟანრის კოლექტივი „ტაქსი“ იყო, რომელშიც აგრეთვე უკრავდნენ დადა დადიანი, ბიჭიკო ოსიპოვი და კახა კიკაბიძე. ალბომის „ტაქსი“ გამოცემის შემდეგ მსმენელმა დიდი ინტერესი გამოიჩინა მათი მუსიკის მიმართ. „ტაქსის“ წარმატების პიკი 90-იანების დასაწყისი იყო. ამ პერიოდში ჩატარებული ყველაზე ცნობილი კონცერტებიდან აღსანიშნავია თბილისის ფილარმონიასა და ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში მოწყობილი კონცერტები.

მუსიკალური კარიერის პარალელურად ირაკლი მწერლობაშიც ცდიდა ბედს, 1989 წელს გამოვიდა მისი მოთხრობების კრებული „ძველი სათამაშოები“. იყო რეაქტიული კლუბის ერთ□ერთი დამაარსებელი, ამავე პერიოდში გამოიცა ლექსების კრებული „რეაქტიული კლუბი“. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მას შემდეგ ირაკლი ჩარკვიანმა არაერთი ნაწარმოები გამოსცა.

ირაკლის პირველი სოლო-დისკი, „სვან სონგს“ ჩაიწერა და გამოიცა გერმანიაში. ეს მნიშვნელოვანი სოლო-დებიუტი იყო და დღემდე ითვლება 90-იან წლებში ჩაწერილი ქართულენოვანი ალტერნატიული დისკების ერთ-ერთ მთავარ ნიმუშად. ირაკლი ჩარკვიანმა იმუშავა მუსიკაზე კინოფილმისათვის „ორფეოსის სიკვდილი“. ამავე პერიოდში ირაკლიმ მიიღო ჯილდო, როგორც „საუკეთესო ალტერნატიული მუსიკოსი.“

მუსიკოსის მეორე სტუდიური ალბომი „აფრენ“ და ამავე სახელწოდების სიმღერა საზოგადოებამ არაერთგვაროვნად აღიქვა. მოგვიანებით მეფემ მსმენელს შესთავაზა სიმღერა „საქართველო“, შემდეგი მისი დამოუკიდებელი სიმღერა კი „უსაფრთხოება“ იყო. ირაკლის მორიგი სტუდიური დისკი „ამო“ 2001 წელს გამოიცა. ეს ალბომი ცნობილია სიმღერებით „სექსი“ და „ორლანი□78“.

2004 წელს მეფემ ჩაწერა ალბომი „სავსე“, რომელიც დაემთხვა ირაკლის შემოქმედების თაყვანისმცემელთა ახალი ტალღის გამოჩენას. ამ დისკიდან ყველაზე ცნობილი სიმღერებია „ვიცი რომ“, „აქ ხარ“ და „ნანასი“. ეს პერიოდი აგრეთვე გამოირჩევა ირაკლის შემოქმედებითი აქტიურობით — შინაურ სტუდიაში იგი მუშაობდა ბევრ ახალ სიმღერაზე და ხშირად იღებდა ახალ ვიდეოკლიპებს საკუთარ სიმღერებზე. სწორედ ამ პერიოდიდან მან საკუთარ ფსევდონიმად მეფე აირჩია.

2006 წლის 25 თებერვალს მუსიკოსი საკუთარ სახლში გარდაიცვალა. 2007 წელს სპეციალური ალბომი მის ხსოვნას მიუძღვნეს ცნობილმა მუსიკოსებმა, ჯგუფებმა 33ა, მწვანე ოთახი, აუტსაიდერი, ვაკის პარკი, იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ, ზუმბა და სხვა. ალბომს „ქაღალდის გემი — თრიბუტე ალბომი“ ეწოდება.

მოგვიანებით შეგროვებული იქნა მუსიკოსის სიცოცხლეში ჩაწერილი უკანასკნელი მუსიკალური მასალა და გამოიცა მისი ბოლო სტუდიური ალბომი „ძირს მეფე“.

წელს ირაკლი ჩარკვიანის დაბადების დღეზე მისი მეუღლე ბენდის თანხლებით იმღერებს. გასულ წელს მეფის დაბადების დღეზე მისმა მეგობრებმა დაუკრეს. კონცერტზე ქეთათო თავის სიმღერებს და ირაკლის რამდენიმე სიმღერასაც შეასრულებს.

ირაკლი ჩარკვიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი 19 ნოემბერს გაიმართება. კონცერტზე დასწრება კი ნებისმიერ მსურველს 10 ლარად შეეძლება.


## განცხადებები

● ქირავდება ვაჟა-ფშაველას II კვარტალში ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ყველანაირი ავეჯი, ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გათბობა, ცხელი წყალი) ბინა. ტელ: 899-103-183.

● სილამაზის სალონი „შარმი“ აწარმოებს მოსწავლეების მიღებას 3-თვიან კურსებზე სამკურნალო გამაჯანსაღებელი და ბავშვთა მასაჟი, სტილისტი-ვიზაჟისტი, კოსმეტოლოგიის კურსები. გაიცემა სერთიფიკატი. ფასი 300 ლარი. გაგიწევთ შემდეგ მომსახურებას: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საქორწილო, საბანკეტო ვარცხნილობები, ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით. მის: მ.მარჯანიშვილი, ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.


## მილოცვა

cfmfhsdtkjc fuhfhekvtwybtht-,fsf frfltvbbc ghtpblbevb lf cfvtwybthj cf,zj lf,flt,bc lqtc dekjwfds frfltvbbc otdhc7 cfmfhsdtkjc thjdyekb frfltvbbc cfgfnbj otdhc7 utkfsbc cfcekbthj frfltvbbc cofdkekvlbdfyc7mesfbcbc ovblf cfvt-,bc nf'hbc vj'qdfhc



### დეკანოზ პეტრეს — ირაკლი ახვლედიანს

decehdt,s,tlybtht,fcf lf ofhvfnt,t,c cfvtwybthj lf gtlfujubehcfmvbfyj,fib8

# ქართული სტამბა 300 წლისაა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში სტამბის დაარსების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე აღნიშნა.

ღონისძიების ორგანიზატორი კულტურის სამინისტროსთან ერთად პოლიგრაფისტთა ასოციაცია იყო. ასოციაციის გადაწყვეტილებით, თეატრში ვახტანგ VI-ის სტამბის დაარსების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება მრავალფეროვანი პროგრამით დაკომპლექტდა.

ღონისძიების დაწყებამდე შენობის ფოიეში, ცოცხალი მუსიკის ფონზე, გამოფენა გაიხსნა, რომელზეც წარმოდგენილი იყო პირველნაბეჭდი ქართული წიგნები და თბილისის ოთხი სტამბის მიერ წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული ნიმუშები.

გამოფენის შემდეგ კი გაიმართა კონცერტი, სადაც მუსიკალური ნომრები შეასრულეს კომპოზიტორთა კავშირთან არსებულმა სიმებიანმა კვარტეტმა, ეთნო მუსიკის თეატრმა „მთიებმა“, „თეატრალურმა უნივერსიტეტმა“ დათო არჩვაძის ხელმძღვანელობით.

ქართული სტამბის სამსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილი საღამოს კი მსახიობი ზურა ყიფშიძე გაუძღვა.




X-XIII ს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.

შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ

**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# ავთანდილ ხურციძე: „შტურმი მალე გაიგებს, ვინ ვინ არის“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ძალიან ძლიერი მოკრივეა, ამასთან, საკმაოდ ცნობილი ორი არგენტინელი მოკრივეც დავამარცხე.

***— კოვაჩთან ბრძოლაც ჩერკასში გამართეთ. როგორ შეაფასებდით იქაურ მაყურებელს და რას ელოდებით მათგან?***

— დიდი სიამოვნებით ვბრუნდები ჩერკასში ბრძოლის გასამართავად. მაშინ ძალიან თბილად მიმიღეს და ყველაფერი ისე კარგად მახსენდება, რომ არც ახლა მაქვს უფლება, ისინი გულგრილი დავტოვო. კოვაჩთან ჩხუბის დროს გულშემატკივარი მთელი ბრძოლის განმავლობაში სკანდირებდა — ავთანდილ! ავთანდილ! იმედი მაქვს, 20 ნოემბერსაც მსგავსი მხარდაჭერა მექნება.

***— ეს უკვე ინტერკონტინენტალის ქამრის მეოთხე დაცვა იქნება. არ მოგწყინდათ?***

— მიგიხვდით მინიშნებას. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, მსოფლიოს ჩემპიონის ქამრისთვის ვიბრძოლო და მის ახლანდელ მფლობელს ვბა-ს ვერსიით, ფელიქს შტურმს, დავუმტკიცო, ვინ ვინ არის. ამ ბრძოლისთვის დიდი ხანია მზად ვარ, მაგრამ სადღეისოდ მისი გადადება მიწევს. ჩემს ახლანდელ მენეჯერებთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს და მისი პირობები უნდა შევასრულო. საჭირო გახდა მეოთხედ დაცვა? პრობლემა არ არის. თუ საჭიროება მოითხოვს, მეხუთედაც დავიცავ და მეექვსედაც.

***— ახლა ძალიან ბევრ საუბრობენ იმაზე, რომ უკრაინაში პროფესიონალი მოკრივეები უფრო დეგრადაციის გზაზე არიან დამდგარი. თქვენ რას ფიქრობთ?***

— ამას ვერ დავეთანხმები. მართალია, ეს არც ამერიკაა და არც გერმანია, მაგრამ უკრაინაში ყოველთვის მოიძებნება გზა, რომ პროფესიონალმა მოკრივემ თავისი შესაძლებლობები გააუმჯობესოს.

***— რადგან გერმანია ახსენეთ, გკითხავთ. გავიგეთ, რომ თქვენით რამდენიმე გერმანული კომპანიაა დაინტერესებული და სურვილი აქვთ, თავიანთ დაქვემდებარებაში გიხილონ.***

— იყო ასეთი ვარიანტები და რამდენიმე შემოთავაზება, მაგრამ ამჟამად კონტრაქტი მაქვს „კ2 ისტ პრომოუშენთან“ და, სანამ მათთან კონტრაქტი მაკავშირებს, სამუშაო ადგილის შეცვლას არ ვაპირებ.

***— 6 თვის წინ ბრძოლისთვის მოსამზადებელ სპარინგებს გერმანიაში გადიოდით, მაგრამ ახლა იქ არ ემზადებით.***

— ჩემს იქაურ სპარინგებზე თავად გერმანელებმა თქვეს უარი. მას შემდეგ, რაც ვარჯიშებზე რამდენჯერმე დავაგდე ძირს მახირ ორალი და კიდევ რამდენიმე იქაური კორიფე, გერმანელები აღარ მიწვევენ, პირიქით, ჩემი მხრიდან შევთავაზე, რომ ჩემივე ხარჯებით ჩავიდოდი მოსამზადებლად და სპარინგების ჩასატარებლად, მაგრამ მაინც უარი მითხრეს.

***— ახლა სად მოემზადეთ ბრძოლისთვის?***

— უკრაინაში და რამდენიმე აქაურ მოკრივესთან ერთად გავდიოდი მზადებას, თუმცა არ მინდა ახლა ყველა კარტი გავხსნა და მათი გვარები დავასახელო.

***— სამიოდე დღის წინ მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ბრძოლა შედგა — მენი პაკიაომ მიგელ კოტო დაამარცხა. თუ ნახეთ ეს ბრძოლა და როგორია თქვენი შთაბეჭდილება მის შესახებ?***

— ამ ბრძოლის ყურებისას უდიდესი სიამოვნება მივიღე. ალბათ, ასე იქნებოდა კრივის ყველა მოყვარული. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — პეკმენმა დაამტკიცა, რომ პლანეტის უძლიერესი მოკრივეა, თუმცა არც კოტოს უნდა დავუკარგოთ თავისი — მიგელი ბევრს ცდილობდა და ყველაფერი გააკეთა, რაც მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ულრმესი მადლობა ორივე მოკრივეს ასეთი ლამაზი სანახაობისთვის.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# პატრის ევრა: „ნაკრები კლუბზე მაღლა დგას“



**დღეს ევროპა მსოფლიოს ჩემპიონატის კიდევ 4 მონაწილეს გაარკვევს და ამით თავის მისიას ამოწურავს. თითქმის ყველა მატჩში ბრ ოლაა მოსალოდნელი. ერთადერთი, რომელიც შეგვი ლია, უკვე გამარჯვებულად დავასახელოთ, საფრანგეთის ნაკრებია, რომელმაც სტუმრად ნიკოლა ანელკას ერთადერთი გოლით მოუგო ირლანდიის ნაკრებს და ნელი წარმოსადგენია, ეს უპირატესობა შინ გაანიავოს.**

**დუბლინიდან დაბრუნებული საფრანგეთის ნაკრები კლერფონტენის ბაზაზე ემზადება დღევანდელი მატჩისთვის. ფიფას ვებგვერდმა სასაუბროდ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი პატრის ევრა შეარჩია, რომელიც ფიქრობს, რომ ჯერ ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის.**

***— როგორ გრძნობთ თავს ირლანდიასთან მოგებული მატჩის შემდეგ?***

— ირლანდიაში დასრულებული მატჩისთანავე დავიწყეთ ფიქრი განმეორებით მატჩზე. ყველას კარგად გვაქვს გათავისებული, რომ ჯერ მხოლოდ ნახევარი გზა გვაქვს გავლილი. წინ არანაკლებ რთული მატჩი გველის. პირველ მატჩში ყველამ ძალიან კარგად ვითამაშეთ და ახლა უფლება არ გვაქვს, ის ნაშრომი დავკარგოთ და ხელცარიელი დავრჩეთ. როდესაც ხალხი მეუბნება, რომ უკვე სამხრეთ აფრიკაში ვართ, ვპასუხობ, რომ ჯერ კიდევ კლერფონტენში ვიმყოფები. განმეორებით მატჩში მნიშვნელობა არ აქვს, რა შედეგი გვაწყობს — აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

***— ირლანდიაში მატჩმა ისე ჩაიარა, როგორც ელოდით?***

— შეიძლება ითქვას, უფრო უკეთ. მეორე ტაიმი უფრო კარგად ჩავატარეთ, ვიდრე პირველი. შესვენებამდე ბევრი ყურადღების დათმობა გვიწევდა ფიზიკურ თამაშზე. ბევრი ახლაც ამბობს, რომ ირლანდიელებისგან მეტ წინააღმდეგობას ელოდნენ. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ვთვლი, რომ გამარჯვება მაინც დიდი ენერგიის დახარჯვით მოვიპოვეთ. ვიცოდით, წინ რთული მატჩი გვქონდა და ყველა დავალება, რაც მიღებული გვქონდა, კარგად შევასრულეთ.

***— გინდათ თქვათ, რომ მეორე ტაიმში მეტოქის ფიზიკურ მომზადებას თქვენი კლასის ხარჯზე აჯობეთ.***

— არც მასეა. კლასი ირლანდიის ნაკრებსაც საკმაოდ აქვს, მაგრამ შესვენების შემდეგ ჩვენ უფრო უკეთ ავთამაშდით. ფეხბურთში მთავარი მარტო პასის მიცემა არ არის — საჭიროა ეს ბურთი მეტოქეს აართვა და შეტევა შენ წამოიწყო.

***— ირლანდიაში მოპოვებული გამარჯვება ზედმეტ თავდაჯერებულობას ხომ არ შემატებს ფეხბურთელებს, რამაც, შესაძლოა, გარკვეული პრობლემებიც შეუქმნას საფრანგეთის ნაკრებს?***

— გუნდში პატარა ბიჭები აღარ თამაშობენ და ყველა მათგანს საკმარისი გამოცდილება გააჩნია, რომ თავს დამშვიდების უფლება არ მისცენ და საქმეს სერიოზულად მიუდგნენ. ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის მატჩებში ბევრჯერ მითამაშია და კარგად ვიცი, რომ, პირველი თამაშის მოგების მიუხედავად, შანსები მაინც ყოველთვის თანაბარია.

***— ირლანდიასთან განმეორებით მატჩში დროის რომელი მონაკვეთია ყველაზე მნიშვნელოვანი?***

— ალბათ, დასაწყისი. კარგი იქნება, თუ სწრაფ გოლს გავიტანთ. ამით მეტოქეს მორალურად გავტეხთ.

***— პირველ მატჩში შესანიშნავად ითამაშა უგო ლორისმა. თამაშის შემდეგ, როგორც მცველმა, ბოდიში მოუხადეთ, რომ ამდენჯერ მოუწია გუნდის გადარჩენა. თუ მიულოცეთ კარგი თამაში?***

— მცველებს საბოდიშო არაფერი გვქონია, რადგან ლორისმა აკეთა ის, რაც მეკარის მოვალეობაში შედის. ლორისი რომ კარგი მეკარეა, „ლიონი“ — „ლივერპულის“ ჩემპიონთა ლიგის მატჩისას დაამტკიცა. კარგი მეკარეა სტივ მანდადაც, მაგრამ ლორისი აშკარად პირველი ნომერია, თუმცა, გამორიცხული არ არის, მისი ადგილი მანდანდამ დაიკავოს.

***— საუბრობენ იმაზეც, რომ საფრანგეთის ნაკრებში დიდი ადგილი უკავიათ ვეტერან ფეხბურთელებს. ამის გამო მეტ პასუხისმგებლობას ხომ არ გრძნობთ?***

— როდესაც საჭიროება მოითხოვს, ფეხბურთელმა თავის თავზე პასუხისმგებლობის აღება უნდა შეძლოს. გულშემატკივარმა ისიც იცის, რომ ევროპულ გრანდებში ვთამაშობთ და ჩვენგან გაცილებით მეტს მოელიან. ცუდად ჩატარებული მატჩების შემდეგ გაკრიტიკებითაც ჩვენ უფრო გვაკრიტიკებენ, ვიდრე სხვებს და ეს ნორმალურად მიმაჩნია. საერთოდ, ეროვნული ნაკრები ყოველთვის კლუბზე წინ უნდა იდგეს და ახალგაზრდა ფეხბურთელებს მაგალითი ჩვენ უნდა მივცეთ.

***— ცოტა ხნის წინ თქვენ გულშემატკივრებიც გააკრიტიკეთ, რომლებსაც პრეტენზიები მთავარ მწვრთნელ რაიმონ დომენეკთან ჰქონდათ და „სტად დე ფრანსზე“ უკმაყოფილება გამოხატეს. 18 ნოემბრის მატჩი ხომ არ იძლევა შერიგების საფუძველს?***

— იმ საპროტესტო მატჩის შემდეგ ჩვენ გენგამში ვითამაშეთ ფარერების ნაკრებთან (5:0) და საკმაოდ კარგადაც. გენგამში თამაშს ბევრი გულშემატკივარი დაესწრო და ნამდვილად არ ვუჩიოდით მათ მხარდაჭერას, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. ასევე ქებით მინდა მოვიხსენიო ის 6.000 გულშემატკივარი, რომელიც ირლანდიაში გვახლდა და გვქომაგობდა. მართალია, სტადიონზე მათი ხმის გაგონება ძნელი იყო, თანაც მასპინძელთა გულშემატკივრების ღრიანცელში ჩაკარგული, მაგრამ იმის ცოდნაც, რომ ისინი სტადიონზე იყვნენ, მეტად გვამხნევებდა და დადებითად იმოქმედა ფეხბურთელებზე. განმეორებით მატჩში კი ისეთ მხარდაჭერას ველოდით, როგორიც ირლანდიელებს ჰქონდათ 3 დღის წინ. ყველა გულშემატკივრის სურვილია, თავისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდეს და გამონაკლისი არც ფრანგები არიან. იმედი მაქვს, ისინი ჩვენ გვერდით დადგებიან. ეს ან ახლა უნდა მოხდეს, ან არასდროს.

# რიჩი მაკგოუს მეორე ცდა

რაგბის საერთაშორისო ფედერაციამ (ირბ) იმ 7 სპორტსმენის სია გამოაქვეყნა, რომლებიც წლის საუკეთესო მორაგბის წოდებისთვის იბრძოლებენ. ესენი არიან: მეტ ჟიტო (ავსტრალია), ტომ კროფტი (ინგლისი), რიჩი მაკგოუ (ახალი ზელანდია), ფრანსუა შტეინი, ფური დუპრი (ორივე სამხრეთ აფრიკა), ჯეიმი ჰისლიპი, ბრაიან ოდრისკოლი (ორივე ირლანდია). აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტთაგან ახალზელანდიელ რიჩი მაკგოუს ერთხელ უკვე აქვს მოპოვებული წლის საუკეთესო მორაგბის ტიტული — 2006 წელს.

გამოსარჩევია ისიც, რომ ამ შვიდეულის დასახელებას კომპეტენტურმა ჟიურიმ 60 საათი მოანდომა. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ სარაგბო სამყაროში საკმაოდ ცნობილი პიროვნებები — უილ გრინვუდი, კევინ ჰასტინგი, რაფაელ იბანიესი, ფრანსუა პიენაარი, აუგუსტინ პიშო, სკოტ ქუინელი, ტანა უმაგა, პოლ უოლესი და ჯონ ელისი, რომლებმაც 46 მატჩი განიხილეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაასახელეს კანდიდატები.

— წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის მოპოვება ნებისმიერი მორაგბისთვის საამაყოა. მისი მფლობელის ვინაობის გამოვლენა იოლად არ ხდება. საუკეთესო წლის განმავლობაში საერთაშორისო მატჩების მიხედვით შეირჩევა, რომელშიც 6 ერის თასის, ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების ტურნე, 3 ერის თასის, აგრეთვე ივნისსა და ნოემბერში გამართული ტესტები შედის, — განაცხადა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ბერნარდ ლაპასემ.

გეტყვით იმასაც, რომ ირბ წლის საუკეთესო მორაგბეებს 2001 წლიდან ავლენს და აქამდე ეს ტიტული შემდეგ მორაგბეებს ერგოთ: კის ვუდი (ირლანდია 2001), ფაბიენ გალტიე (საფრანგეთი 2002), ჯონი უილკინსონი (ინგლისი 2003), სხლა ბურგერი (სამხრეთ აფრიკა 2004), დენ კარტერი (ახალი ზელანდია 2005), რიჩი მაკგოუ (ახალი ზელანდია 2006), ბრაიან ჰაბანა (სამხრეთ აფრიკა 2007), შეინ უილიამსი (უელსი 2008).

# სერხიო რამოსი ანტირეკორდს უმიზნებს

მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების მცველი სერხიო რამოსი სამართლიანად ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად, მაგრამ, ამავდროულად, ხისტი და უხეში ფეხბურთელის რეპუტაციითაც სარგებლობს. სტატისტიკური მონაცემები რამოსისთვის საკმაოდ არასასიამოვნო ფაქტზე მეტყველებს — ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მადრიდული დერბისას მიღებული წითელი ბარათი მე-9 აღმოჩნდა მის კარიერაში.

ამ მხრივ ანდალუზიელი ფეხბურთელი მხოლოდ ერთით ჩამორჩება ფერნანდო იეროს ანტირეკორდს. მადრიდელთა ლეგენდარულმა კაპიტანმა „რეალში“ თამაშისას 10-ჯერ მიიღო წითელი ბარათი, მაგრამ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იერომ მათი მოგროვება 439 მატჩში „მოახერხა“, ხოლო სერხიო რამოსს მასზე 300-ით ნაკლები, 139 მატჩი აქვს ჩატარებული, ამასთან, ფეხბურთელი ჯერ მხოლოდ 23 წლის არის და „ყველაფერი წინ აქვს“.

მებრძოლი სული სერხიო რამოსს ბოროტად ეხუმრება — სამეფო კლუბში თამაშის პირველივე წელიწადს 4-ჯერ იქნა მოედნიდან გაძევებული (3 ესპანეთის ჩემპიონატი, 1 ჩემპიონთა ლიგა), მომდევნო სეზონში მხოლოდ ერთხელ და ისიც მადრიდულ დერბიში, კიდევ ერთი წლის შემდეგ მოუმატა და უკვე 3-ჯერ დაატოვებინეს მოედანი, გასულ სეზონში ფრთხილობდა და მხოლოდ ერთხელ აუფრიალეს წითელი ბარათი. ეს სტატისტიკა იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სერხიო რამოსს, რომელიც მანამდე „სევილიაში“ თამაშობდა, 38 მატჩში მოედნიდან საერთოდ არ გაუძევებიათ.

რაც შეეხება ყვითელი ბარათების რაოდენობას, რამოსი თავის უხეშობას აქაც ამტკიცებს — მადრიდელთა მცველს 57 ყვითელი ბარათი აქვს მიღებული, რაც საშუალოდ 211 წუთში ერთ ყვითელ ბარათს შეადგენს.

# შოტლანდია უმწვრთნელოდ დარჩა

შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ იმსჯელა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯორჯ ბერლი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ასოციაციას მწვრთნელთან პრეტენზიები მანამდეც ჰქონდა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჩაგდებას საკმაოდ ცივად უყურებდნენ, მაგრამ უკანასკნელი წვეთი უელსის ნაკრებთან გამანადგურებელი მარცხი (0:3) აღმოჩნდა. თანამდებობიდან გათავისუფლებულია ბერლის ყველა თანაშემწეც.

შოტლანდიელები გულშემატკივრებს ჰპირდებიან, რომ მომავალი მწვრთნელი საკმაოდ ცნობილი პიროვნება იქნება, რათა ნაკრებს მიეცეს შანსი, წარმატებით გამოვიდეს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე, მაგრამ კონკრეტულ ვინაობას ჯერ არ ასახელებენ.

# მორაგბეები უდინეში დაბანაკდნენ

საქართველოს რაგბის ნაკრებმა არგენტინის „ა“ ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ იტალიაში გადაინაცვლა და მორიგ მატჩს იქაურ „ა“ ნაკრებთან გამართავს. მატჩი 20 ნოემბერს უდინესთან ახლოს მდებარე ქალაქ პალმანოვოში გაიმართება, ნაკრები კი უდინეში, სასტუმრო „ინტერნაციონალშია“ დაბინავებული. აპენინელებთა მატჩს ტიმ ლეინის შეგირდები, არგენტინელებისგან განსხვავებით, გადახალისებული შემადგენლობით შეხვდებიან. ჯერ კიდევ იმ მატჩის შემდეგ აღნიშნა ტიმ ლეინმა, რომ ნაკრებს 7 მორაგბე დააკლდებოდა, რადგან ფრანგული კლუბები ამდენი ფუფუნების უფლებას არ აძლევენ.

იტალიასთან მატჩში გუნდს ვერ დაეხმარებიან მამუკა გორგოძე, აქვსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, რევაზ გიგაური, გია ლაბაძე, თედო ზიბზიბაძე და მალხაზ ურჯუკაშვილი. მათ ნაცვლად ლეინმა მორაგბეებს საქართველოს „ა“ ნაკრებიდან უხმო, რომელთაც სწორად ახლა აქვთ შანსი, დაამტკიცონ თავიანთი შესაძლებლობები. ახალჩამოყალიბებულმა „ა“ ნაკრებმა ბოლო კვირაში ორი მატჩი გამართა (პოლონეთთან და უკრაინასთან) და ორივეში იმარჯვა, მაგრამ იტალიის „ა“ ნაკრები გაცილებით მაღალი დონეა. მათთან თამაში დიდი გამოცდილება იქნება მათთვის.

ტიმ ლეინის საიტალიო სრული კრებული კი ასეთია:

შერკინება: დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ორივე ბრივი, საფრანგეთი), ირაკლი ნატრიაშვილი, ლაშა თავართქილაძე (ორივე ფარული, რუმინეთი), დავით დადუნაშვილი (პერიგო, საფრანგეთი, ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), ილია ზედგინიძე (კარკენ იერი, საფრანგეთი), რატი ურუშაძე (ენისეი, რუსეთი), გიორგი ნემსაძე (მასი, საფრანგეთი), დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგი, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე, საფრანგეთი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი, საფრანგეთი), ვიტო კოლელიშვილი (ლელო);

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი,საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (ფარული, რუმინეთი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ალექსანდრე თოდუა, ლაშა ხმალაძე (ორივე ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ეჩ. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| სომხეთი-ირლანდია | 4:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გოიასი-სანტა ანდრე | 3:1 |
| ინტერნასიონალი-სანტოსი | 3:1 |
| ფლუმინენსე-ატლეტიკო(პ) | 2:1 |

**პლაჟის ფეხბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| რუსეთი-კოსტა რიკა | 5:1 |
| ესპანეთი-იაპონია | 4:4(0:1პ) |
| ა.გ.ემირატები-პორტუგალია | 5:7 |
| ბრაზილია-ნიგერია | 11:5 |
| არგენტინა-კოსტა რიკა | 6:0 |
| იაპონია-კოტ დივუარი | 3:2 |
| პორტუგალია-ურუგვაი | 1:2 |
| შვეიცარია-ნიგერია | 7:2 |
| ესპანეთი-სალვადორი | 7:3 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-პორტლენდი | 99:95(დდ) |

**ზაზა ფაჩულია (ატლანტა): 7 ქულა, 9 მოხსნა**

| | |
|---|---|
| ორლანდო-შარლოტი | 97:91 |
| მილუოკი-დალასი | 113:115(დდ) |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-აილენდერსი | 1;4 |
| კოლანბუსი-ედმონტონი | 2:2(1:0ბ) |
| ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 3:2 |
| პიტსბურგი-ანაჰაიმი | 5:2 |
| ფლორიდა-ლოს ანჯელესი | 3:3(0:1ბ) |
| ფინიქსი-ტამპა ბეი | 1:4 |

## დღის კალენდარი

### 18 ნოემბრისთვის



წლის 322-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 43 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

24-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.

ხსენება მოწამეთა: გალაქტიონისა და ეპისტიმიასი (III); მოწამეთა: პატროვისა, ერმისა, ლინისა, გაიოზისა და ფილოლოგისა, - სამეოცდაათთაგანთა (I); წმიდა გრიგოლისა - ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა (IX).

**დაიბადნენ:**

1786 - კარლ ვებერი, გერმანელი კომპოზიტორი, გერმანული რომანტიკული ოპერის ფუძემდებელი.

1787 - ლუი ჟაკ დაგერი, ფრანგი მხატვარი, ფიტოგრაფიის ერთ-ერთი შემქმნელი.

1832 - ნილს ადოლფ ნორდენშელდი, შვედი გეოლოგი, არქტიკის მკვლევარი, გემით პირველმა გაიარა გასასვლელი ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში.

1901 - ჯორჯ გელაპი, ამერიკელი სტატისტიკოსი, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მეთოდიკის ავტორი.

1921 - ჭაბუა ამირეჯიბი, მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1927 - ელდარ რიაზანოვი, რუსი კინორეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი, სცენარისტი.

1928 - ოთარ გორდელი, კომპოზიტორი.

1934 — რეზო ესაძე, კინორეჟისორი.

1943 — თემურ ჩხეიძე, რეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1951 - დავით ყიფიანი, გამოჩენილი ფეხბურთელი, გარდაიცვალა 2001 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1868 - ჯოაკინო როსინი, იტალიელი კომპოზიტორი.

1827 - ვილჰელმ ჰაუფი, გერმანელი მწერალ-მეზღაპრე, დაიბადა 1802 წელს.

1846 — ალექსანდრე ჭავჭავაძე, პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა 1786 წელს.

1856 - მიხაილ ვორონცოვი, კავკასიის მთავარმართებელი, დაიბადა 1782 წელს.

1886 - ალან არტურ ჩესტერი, აშშ-ს 21-ე პრეზიდენტი, დაიბადა 1821 წელს.

1922 - მარსელ პრუსტი, ფრანგი მწერალი, დაიბადა 1871 წელს.

1940 — ივანე ჯავახიშვილი, ისტორიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მოთავე. დაიბადა 1876 წელს.

1952 - პოლ ელუარი, ფრანგი პოეტი, დაიბადა 1895 წელს.

1962 - ნილს ბორი, დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, დაიბადა 1885 წელს.

1969 - ჯოზეფ კენედი, ამერიკელი ბიზნესმენი, პრეზიდენტს ჯონ კენედის მამა.

1971 - ალექსანდრ ტვარდოვსკი, რუსი პოეტი, საზოგადო მოღვაწე.

**მოვლენები:**

1626 წელი - რომის პაპმა ურბან VIII-მ აკურთხა წმიდა პეტრეს ტაძარი, რომლის მშენებლობაზე მუშაობდნენ რაფაელი, მიქელანჯელო, ბრამანტე.

1853 წელი - რუსულმა ფლოტმა ადმირალ პაველ ნახიმოვის სარდლობით გაანადგურა თურქეთის ესკადრა.

1865 წელი - დაიბეჭდა მარკ ტვენის პირველი მოთხრობა.

1868 წელი - დმიტრი მენდელეევის თაოსნობით შეიქმნა რუსეთის ქიმიის საზოგადოება.

1918 წელი - ლატვიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

1928 წელი - ნიუ-იორკში გაიმართა პირველი ხმოვანი მულტფილმის პრემიერა ყველასთვის საყვარელი მიკი-მაუსის მონაწილეობით.

1977 წელი - აშშ-ში, ტეხასის შტატში გაიხსნა ქალების პირველი ნაციონალური კონფერენცია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

უზბეკეთი - დროშის დღე.
ჰაიტი - ვეტერანების დღე.
მაროკო - დამოუკიდებლობის დღე.
ლატვია - რესპუბლიკის დღე.

*მედიანიუსი*

## ელ ფალუჯაში მუტანტების დაბადებას თეთრი ფოსფორით დაბომბვას უკავშირებენ



ერაყის ქალაქ ელ ფალუჯაში დაბადებულ ახალშობილებს შორის უკიდურესად მაღალია სიკვდილიანობის და თანდაყოლილი დეფექტების პროცენტი. შესაბამისი განცხადებით გაზეთი „ინდეფენდენთი“ გამოვიდა. ფალუჯაში 2004 წელს მასშტაბური ბრძოლები მიმდინარეობდა.

„ინდეფენდენთის“ სტატისტიკის მიხედვით, ფალუჯის ცენტრალურ კლინიკაში 2009 წელს დაბადებული 170 ბავშვიდან 24% დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ეს მონაცემები მოყვანილია წერილში, რომელიც გაეროს ბრიტანელი და ერაყელი ექიმებისა და ადამიანის უფლებების დამცველებმა გაუგზავნეს.

სამიდან ოთხ შემთხვევაში იბადებიან ორთავიანი ბავშვები, ბავშვები თავის გარეშე, ცალი თვალით შუბლზე, კიდურების გარეშე. წერილის ავტორები ვარაუდობენ, რომ თანდაყოლილი დეფექტების მიზეზი გაღარიბებული ურანი და თეთრი ფოსფორი შეიძლება იყოს.

შედარებისათვის, 2002 წლის აგვისტოში, ერაყის ომის დაწყებამდე ქალაქში 530 ბავშვი დაიბადა, მათგან ექვსი გარდაიცვალა, ერთი დეფექტით დაიბადა.

ფალუჯასთან მიმდინარე ბრძოლების შესახებ წარსულში პრესა ბევრს წერდა. არსებობს დოკუმენტური დადასტურება იმისა, რომ ამერიკელებმა ქალაქს დიდი რაოდენობით თეთრი ფოსფორი დაუშინეს. დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობას ამ სახის იარაღისათვის დამახასიათებელი დაზიანებები აღენიშნებოდა.

თეთრი ფოსფორის გამოყენება აკრძალულია გაეროს კონვენციით ჩვეულებრივი შეიარაღების ზოგიერთი სახეობის შესახებ, რომელიც 1980 წელს არის მიღებული და იგი იარაღის ამ სახეობის გამოყენების უფლებას მხოლოდ სამხედროების წინააღმდეგ უშვებს.

იმ ოპერაციას ამერიკელებმა „აჩრდილის მრისხანება“ უწოდეს. ღამის ცა ასობით ფოსფორის ჭურვმა გაანათა, დეტონაციისას ისინი რკინაბეტონს წვავდნენ. ფალუჯას იერიშში 12 ათასამდე ამერიკელი და სამი ათასი ერაყელი სამხედრო მონაწილეობდა.

თეთრ ფოსფორს საავიაციო ბომბების, კასეტური ბომბების, საარტილერიო ჭურვების, ნაღმების დასამუხტად, გარდა ამისა, ნარევების სახით იყენებენ. ასეთი საჭურველის აფეთქების დროს თეთრი ფოსფორის დანაწევრება ხდება, ჰაერთან კონტაქტის შედეგად მას ცეცხლი ეკიდება და თეთრი ფერის კვამლს წარმოქმნის.

თეთრი ფოსფორის წვის შედეგად წარმოიქმნება ფოსფორის ანჰიდრიდი, რომელიც წყალში გახსნის შედეგად ფოსფორის მჟავებს წარმოქმნის.

ფოსფორის დამწვრობის დამახასიათებელი ნიშანია თავისებური, ნივრის მსგავსი სუნი, ნათება სიბნელეში, ჭრილობის ფუფხის მოცლის შემდეგ ჭრილობას კვამლი ასდის. თეთრი ფოსფორი სისხლში შეიწოვება, მსუბუქ შემთხვევებში იწვევს სისუტეს, თავბრუსხვევას, თავის ტკივილს, ბრადიკარდიას, გულისრევას, მძიმე შემთხვევებში ცენტრალური ნერვული სისტემის, გულსისხლძარღვთა სისტემის, ღვიძლის ფუნქიცონირების დარღვევას, სიყვითლეს, ჰეპათომეგალიას, კანზე წერტილოვან სისხლჩაქცევებს, ჰემატურიას, ჰიპოტონიას, მკვეთრ ნერვულ აღგზნებას, რაც შემდეგ კომატოზურ მდგომარეობაში გადასვლით მთავრდება.

## „დავიწყებულ ავსტრალიელებს“ ბოდიში მოუხადეს

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა კევინ რადმა ავსტრალიაში ბავშვობაში გადასახლებულ ათასობით ადამიანს, რომლებიც ობლების თავშესაფრებში სასტიკ პირობებში იზრდებოდნენ, ბოდიში მოუხადა.

რადმა თავის გამოსვლაში ამ ადამიანებისათვის მიყენებული უკიდურესი მორალური და ფიზიკური ტკივილისათვის ღრმა სინანული გამოხატა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეროვნული მასშტაბის ბოდიში თუნდაც ოდნავ მაინც მიაყუჩებს ამ ტკივილს და ავსტრალიის ისტორიაში შემობრუნების მომენტად იქცევა.

1930-1970-იან წლებში ავსტრალიაში, ბავშვთა თავშესაფრებსა და სახლებში დაახლოებით 500 ათასი „მივიწყებული ავსტრალიელი“ იმყოფებოდა. მათ იქ უაღრესად მკაცრად ეპყრობოდნენ.

კანბერაში გამართულ ცერემონიალს დაესწრნენ ისინი, ვინც ბავშვობაში ავსტრალიაში იძულებით ჩაიყვანეს. დღემდე ავსტრალიაში შვიდი ათასამდე ასეთი „იძულებით“ იმიგრანტი ცხოვრობს.

მრავალი მათგანი პრემირ-მინისტრის გამოსვლის დროს, რომელიც თვითმხილველთა ისტორიებს ყვებოდა, ცრემლებს ვერ მალავდა.

ბავშვთა სახლების ყოფილმა აღსაზრდელებმა კევინ რადთან პირადი შეხვედრის დროს უამბეს მათ, თუ როგორ სცემდნენ ბავშვებს აღმზრდელები ქამრის ბალთებით, სექსუალურად ძალადობდნენ მათზე.

პრემიერ-მინისტრმა ღონისძიების მონაწილეებისადმი მიმართვის დროს კერძოდ განაცხადა: „ბოდიშს გიხდით იმ ტრაგედიის გამო, რომელმაც თქვენ ბავშვობა წაგართვათ, ბოდიშს ვიხდით იმის გამო, რომ თქვენი ოჯახებიდან წამოგიყვანეს და თავშესფრებში მოგათავსეს, სადაც აბუჩად გიგდებდნენ. ბოდიშს გიხდით იმ ფიზიკური და სულიერი ტკივილისათვის, იმის გამო, რომ თქვენ არ იცოდით, რა არის სიყვარული, სინაზე და ზრუნვა“.

რადის თქმით, ავსტრალიის ამჟამინდელი და მომავალი მთავრობა ყველაფერს იღონებს, რათა მსგავსი ტრაგედია არასოდეს განმეორდეს. მისი თქმით, წარსულის შეცდომების აღიარება ავსტრალიელ ხალხს უკეთესი მომავლისაკენ წინსვლაში დაეხმარება.

„იმიგრანტი ბავშვების“ პროგრამის ფარგლებში, რომელიც 1967 წლამდე მოქმედებდა, „არაკეთილსაიმედო“ ოჯახების თეთრკანიან ბავშვებს ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში აგზავნიდნენ.

ბევრი მშობლისათვის არც კი იყო ცნობილი, რომ მათ შვილებს საზღვარგარეთ გზავნიდნენ. ხოლო ზოგიერთ ბავშვს გაგზავნის წინ ეუბნებოდნენ, რომ მათი მშობლები ცოცხლები აღარ იყვნენ, ისინი კი ავსტრალიაში უზრუნველად იცხოვრებდნენ.

როგორც ცნობილი გახდა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი უახლოეს მომავალში ასევე აპირებს ბოდიში მოიხადოს იმ როლის გამო, რომელიც XX საუკუნეში ყოფილ კოლონიებში ათასობით ბავშვის გადასახლებაში ბრიტანეთმა ითამაშა.

გორდონ ბრაუნმა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტს წერილობით მიმართა. წერილში ნათქვამია, რომ წინა მთავრობების საქციელისათვის ბოდიშის მოხდის დრო დადგა.

ბრიტანეთის ბავშვთა საქმეების მინისტრმა ედ ბოლსმა კი განაცხადა, რომ მსგავსი პოლიტიკა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ასობით წლის განმავლობაში ტარდებოდა, განსაკუთრებით, 1950-60-იან წლებში და ამ პოლიტიკისათვის ბოდიშის მოხდას დიდი მნიშვნელობა აქვს.

## „ცისფერ ტრიოს“ ვარსკვლავს გაუხსნიან

*ეკა ირემაშვილი*

ყველასათვის კარგად ნაცნობ „ცისფერ ტრიოს“ ფილარმონიის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან.

ტრიო 29 ნოემბერს განახლებულ ფილარმონიაში კონცერტს გამართავს, რომელზეც მსმენელს 15 წლიანი პაუზის შემდეგ კვლავაც შესთავაზებს მათთვის კარგად ნაცნობ სიმღერებს. ტრიოს კი აკომპანიმენტსქართული სტამბა 300 წლისაა

ნიკა მემანიშვილის ორკესტრი გაუწევს.

„ცისფერ ტრიოს“ არსებობის 35 წლიანი ისტორია აქვს. ყველაფერი კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან დაიწყო. ტრიოს არსებობის მანძილზე მისმა წევრებმა არაერთი კონცერტი ჩაატარეს, მათი სიმღერები სხვადასხვა თაობებში პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ტრიოს ყველა წევრს თავისი საქმე აქვს, ისინი 29 ნოემბერს ფილარმონიაში კვლავ ერთად შეიკრიბებიან და მსმენელის ყველასთვის საყვარელ და კარგად ნაცნობ სიმღერებს შეასრულებენ. კონცერტის დასრულების შემდეგ კი ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ „ცისფერი ტრიოს“ ვარსკვლავი გაიხსნება.

## კავკასიურ სახლში რეპრესირებულ ქალებს იხსენებენ

**დასაწყისი მე-7 გვერდზე**

დღეს მას არ გააჩნია შენობა, რადგან მართვის ინსტიტუტი, სადაც საზოგადოების წევრები იკრიბებოდნენ, ამჟამად გაყიდულია, არასამთავრობო ორგანიზაცია კი ქუჩაში დარჩა. „მემორიალს“ მიზნად აქვს საბჭოური რეჟიმის პოლიტპატიმრებისადმი თანადგომა, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ზრუნვა, კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებების გამომზეურება. ამ საზოგადოების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ „მემორიალმა“ დაარსების დღიდან დაიწყო კანონშემოქმედებითი საქმიანობა, საბჭოური პერიოდის პოლიტრეპრესირებულთა სტატუსის დადგენისათვის ზრუნვა და შექმნა კანონპროექტი რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ. მისმა წევრებმა, რომელთა რიცხვი 7 ათასზე მეტია, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტშიც იმუშავეს იმისათვის, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების კანონპროექტი დაეხვეწათ და კანონში შეეტანათ დამატებები, რომლებიც პოლიტრეპრესირებულთათვის კომპენსაციის გაცემასა და ქონებრივი უფლების აღდგენას ითვალისწინებდა.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც. ამ მიმართულებით მათ ბევრი იმუშავეს. ოთხშაბათობით სისტემატურად ატარებდნენ ხსოვნის საღამოებს, შეხვედრებს, ლექციებს, რომლებსაც, ასაკოვნებთან ერთად, ახალგაზრდებიც ესწრებოდნენ.

## იტალიაში სიცილიური მაფიის ლიდერი დააკავეს

იტალიის პოლიციამ სიცილიური მაფიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 15 წლის განმავლობაში ძებნილი დომენიკო რაკულია დააპატიმრა.



პოლიციის წარმომადგენლების თქმით, მისი დაპატიმრება ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლაში სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთ ყველაზე სერიზოულ წარმატებად არის მიჩნეული. მაფიის ლიდერი ქალაქ ტრაპანიში, ერთ-ერთ ბინაში დააკავეს.

დომენიკო რაკულიას მრავალრიცხოვანი დანაშაულისათვის სამგზის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მის ბრალდებებს შორის ყველაზე მძიმე იყო თავისი ერთ-ერთი მეტოქის ვაჟის მკვლელობა. მოკლულის გვამი შემდეგ მჟავაში ჩააგდეს. იტალიის შს მინისტრმა რობერტო მარონიმ რაკულიას კოზა ნოსტრას მნიშვნელობით მეორე პიროვნება უწოდა. იგი იტალიის ოცდაათი ყველაზე სახიფათო ძებნილი დამნაშავის სიაში იყო შეტანილი. სააგენტო „ანსამ“ პალერმოს პროკურორის, ანტონიო ინგროიას სიტყვები მოიყვანა, რომელმაც განაცხადა, რომ ხელისუფლებმა კოზა ნოსტრას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა სწორედ მაშინ დააკავეს, როდესაც მან მაფიის იერარქიაში მნიშვნელოვანი პოზიციის დაკავება მოახერხა.

პოლიცია გარდა ამისა, კვლავინდებურად ეძებს მაფიის კიდევ ერთ ლიდერს, მათეო მესინა დენაროს, რომელიც სიცილიის დასავლეთ ნაწილს აკონტროლებს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. ლუდის დასაყენებელი ხის ჭურჭელი ხევსურეთში; 3. ჩიტების საჭერი მახე; 4. ესპანური სადესერტო ღვინო; 5. სახელმწიფო ევროპაში; 6. მდგომარეობა კრივში; 11. ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის პატარა მოთხრობა; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 14. ინგლისელი პოლიციელი; 15. მდგომარეობა ჭადრაკში; 17. ვინმეს შესახებ შექმნილი შეხედულება, რეპუტაცია; 18. მაღალი, ცილინდრული მოყვანილობის ნამცხვარი; 19. მუსლიმანთა სამლოცველო.

**თარაზულად:** 7. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 8. სახელმწიფო კავკასიაში; 9. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 10. სპილენძის შემცველი მწვანე, ხასხასა მინერალი; 12. სახელმწიფო ევროპაში; 14. ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 16. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 18. ძაღლების სპეციალისტი; 20. გემების ერთობლიობა; 21. ბრაზიანი, კაპასი, ანჩხლი ანუ...; 22. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 23. დედალი ჯიხვი; 24. ფინანსური ოპერაციების ყოველდღიური სარეგისტრაციო საბუღალტრო წიგნი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აურა; 2. ხუნტა; 3. ომეგა; 4. პიეზა; 5. ტულუზა; 6. შვიდეული; 8. პორტუგალია; 10. დელტაპლანი; 11. იეროგლიფები; 14. აბორტი; 15. დავითი; 16. ტუმბო.

**თარაზულად:** 1. აკიჰიტო; 4. პიტიახში; 7. რეინა; 9. ვაიდა; 12. კაკადუ; 13. გრევე; 14. არმანი; 17. ხახული; 18. აპარტამენტი; 19. სალხინო; 20. ბონსაი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დემეტრე; 2. კლონი; 3. სოლიტერი; 4. ინკები; 5. გვირილა; 6. დიკენსი; 11. გნოლი; 13. ბოსტონი; 14. ანდერსენი; 15. სპრინტერი; 17. ბარონი; 18. კოიოტი; 19. ლეკი.

**თარაზულად:** 7. ქემელი; 8. როინაშვილი; 9. სეგუნი; 10. სინეკურა; 12. სენბერნარი; 14. არაქსი; 16. აბრსკილი; 18. კადასტრი; 20. სიდრი; 21. გნუ; 22. პოინტერი; 23. იდეა; 24. ქიმერიონი.

# გაერო ირანს ყუმის ობიექტის დანიშნულების განმარტებას სთხოვს



გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებმა ირანის ხელისუფლებს დეტალური ინფორმაცია მოსთხოვეს იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდა ირანი ქალაქ ყუმის მახლობლად მდებარე ბირთვული ობიექტის გამოყენებას.

სააგენტოს ახალ ანგარიშში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ირანმა ყუმის მახლობლად მდებარე ობიექტის არსებობა გვიან აღიარა. ეს იმას ნიშნავს, რომ ირანს შესაძლოა სხვა საიდუმლო ბირთვული ობიექტებიც ჰქონდეს.

გაეროს ექსპერტები ყუმის ობიექტზე მიმდინარე წლის ოქტომბერში დაუშვეს.

დასავლეთის ქვეყნები შიშობენ, რომ ირანის ბირთვული პროგრამის მიზანს ბირთვული იარაღის შექმნა წარმოადგენს. თეირანი ამტკიცებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ისახავს.

მანამდე რუსეთმა, რომელიც ირანის ქალაქ ბუშერთან ატომურ ელექტროსადგურს აშენებს, განაცხადა, რომ ობიექტი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2009 წლისთვის არ დასრულდება.

რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის სერგეი შმატკოს თქმით, წლის ბოლოსთვის სერიოზული შედეგებია მოსალოდნელი, მაგრამ წლის ბოლოს ელექტროსადგური არ ამუშავდება.

მინისტრმა აღნიშნა, რომ დაყოვნება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური მიზეზებით არის გამოწვეული, მაგრამ დიპლომატები აღნიშნავენ, რომ მოსკოვი ირანის სამხრეთით მშენებარე ატომურ ელექტროსადგურს თეირანზე ზეწოლის მიზნით იყენებს.

თავის მხრივ, მსოფილო საზოგადოებრიობა ირანზე ზეწოლას ცდილობს, რათა ამ უკანასკნელმა თავისი გამდიდრებული ურანის გადასამუშავებლად საზღვარგარეთ გაგზავნაზე თანხმობა განაცხადოს.

გასულ კვირას თურქეთისა და გაეროს ატომური ენერგიის სააგენტოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ირანისათვის გამდიდრებული ურანის ნაწილის თურქეთში შენახვის ნებართვის მიცემის საკითხის განხილვა დაიწყეს.

მანამდე აშშ-მა, გერმანიამ დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთმა, საფრანგეთმა და ჩინეთმა ირანს ურანის რუსეთსა და საფრანგეთში გამდიდრება და გადამუშავება შესთავაზეს, მისგან მზა ბირთვული საწვავის მიღების მიზნით, რომლის გამოყენებაც სამხედრო მიზნებისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

ირანს ამ წინადადებისათვის კონკრეტული პასუხი ჯერ არ გაუცია.

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა თეირანთან მოლაპარაკებების გაჭიანურებით უკმაყოფილება გამოხატა. სინგაპურში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამასთან შეხვედრის დროს მან განაცხადა, რომ მოლაპარაკება თუ ვერ მოხერხდა, ირანზე ზემოქმედების სხვა საშუალებაც რჩება.

მას არ დაუზუსტებია, გულისხმობდა თუ არა „სხვა საშუალებებში" ირანის მიმართ საერთაშორისო სანქციების დაწესებას.

დღემდე რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს საშუალებით ირანისათვის დამატებითი სანქციების დაწესების წინააღმდეგ გამოდიოდა.

ანალოგიური პოზიცია ეკავა ჩინეთსაც, მაგრამ ექსპერტების აზრით, რუსეთის პოზიცია გადამწყვეტია, რადგან სანქციების მხარდაჭერაში რუსეთის დათანხმება თუ მოხერხდება, ჩინეთი ალბათ წინააღმდეგ არ გამოვიდოდა, რადგან იგი ტრადიციულად ცდილობს თავი აარიდოს იზოლაციას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მის ინტერესებს უშუალოდ არ ეხება.

ბუშერის რეაქტორი დასავლეთის მრავალი ქვეყნის შეშფოთებას იწვევს, მაგრამ მოსკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედრო მიზნებისათვის მისი გამოყენება შეუძლებელი იქნება, რადგან გამომუშავებული ბირთვული საწვავი გადასამუშავებლად რუსეთში უნდა დაბრუნდეს.

გასულ წელს რუსეთმა ბუშერის რეაქტორისათვის ირანს, საერთო ჯამში, მილიარდი დოლარის ღირებულების ურანის ღეროები მიაწოდა.

გასულ კვირას ირანის ოფიციალურმა პირებმა რუსეთთან კიდევ ერთი სადავო კონტრაქტის გაჭიანურებით უკმაყოფილება გამოთქვეს.

ლაპარაკია ეს-300 ტიპის საჰაერო თავდაცვითი სისტემების მიწოდების შესახებ.

რუსეთის მხარეს ოფიციალურად არასდროს ულიარებია, რომ ასეთი კონტრაქტი არსებობს.

# ობამას აშშ ჩინეთის მოწინააღმდეგე არ არის



ჩინეთში ვიზიტის დროს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ აშშ და ჩინეთი ერთმანეთთან მეტოქეობისათვის სულაც არ არიან განწირული.

ამ განცხადებით იგი ქალაქ შანჰაიში ჩინელ ახალგაზრდებთან შეხვედრის დროს გამოვიდა. შემდეგ სტუდენტებმა მას შეკითხვები დაუსვეს.

ბარაქ ობამას თქმით, 30 წლის განმავლობაში აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობაში პრობლემებიც არსებობდა და წარუმატებლობაც, ორი ქვეყნის ურთიერთობა ვერც ურთიერთგაუგებრობასა და აზრთა სხვადასხვაობას გადაურჩა.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის თქმით, ორი ქვეყნის ურთიერთობა დაპირისპირებას სულაც არ ნიშნავს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი წარსულის გამოცდილებას გაითვალისწინებენ.

ბარაქ ობამამ ასევე აღნიშნა, რომ ყველა ადამიანი თანაბარი უფლებებით იბადება და თანაბარ უფლებებზე პრეტენზიის გამოთქმა შეუძლია.

ბარაქ ობამას თქმით, აზრის გამოხატვის, აღმსარებლობის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლად ხელმისაწვდომობა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა ზოგადსაკაცობრიო უფლებებია. ისინი ყველასთვის უნდა იყვნენ ხელმისაწვდომი, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის.

მიმომხილველების თქმით, ბარაქ ობამას გამოსვლის ტრანსლირების საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკება ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

შედეგად მისი გამოსვლა მხოლოდ შანჰაის ადგილობრივი ტელეარხით გადაიცა, მიუხდავად იმისა, რომ ამერიკელებს იმედი ჰქონდათ, ეროვნული ტელევიზიის საშუალებით ამ გამოსვლას ჩინეთში ყველა ნახავდა.

გარდა ამისა, ჩინელ ახალგაზრდებთან აშშ-ის პრეზიდენტის შეხვედრა ორმა ჩინურმა ინტერნეტ პორტალმაც გადასცა, თუმცა, გამოსახულების და ხმის ხარისხი ძალიან დაბალი იყო.

ჩინეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში აშშ-ის პრეზიდენტის რვადღიანი ვიზიტის დასკვნით ეტაპს წარმოადგენდა. ვიზიტის დროს ბარაქ ობამამ დაადასტურა, რომ რეგიონთან კონტაქტების განმტკიცების პოლიტიკის ერთგული რჩება.

იმავდროულად, ჩინეთში აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტი ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით ორი ქვეყნის მზარდი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს.

პეკინი ვაშინგტონს პროტექციონიზმში, გარდა ამისა, ზოგიერთი ჩინური საქონლის იმპორტის აკრძალვაში ადანაშაულებს.

აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის წინ ჩინეთის ხელისუფლებმა მოსახლეობას ბარაქ ობამასათვის შეკითხვების გამოგზავნის მოწოდებით მიმართეს.

აშშ-ის პრეზიდენტს ტიბეტის განდევნილ ლიდერთან დალაი-ლამასთან სამომავლო ურთიერთობის შესახებაც დაუსვეს შეკითხვა. ჩინეთში დალაი-ლამას სეპარატისტს უწოდებენ.

მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში იგი ვიზიტით ეწვია ვაშინგტონს, სადაც კონგრესის ორივე პალატის წარმომადგენლებს შეხვდა.

მიუხედავად ამისა, დალაი-ლამა თეთრ სახლში არ მიუწვევიათ. ბარაქ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, შეხვედრის გადადების გადაწყვეტილება ორმხრივი იყო, თუმცა ანალიტიკოსებმა მიიჩნიეს, რომ ობამას ჩინეთში ვიზიტის წინ ვაშინგტონი პეკინთან დამატებითი კონფრონტაციის თავიდან აცილებას შეეცადა.

# ღორის გრიპით გარდაცვლილთა ფილტვებმა ექიმებს „ესპანურა" შეახსენა



ბრიტანელი მკვლევარები, რომლებმაც უკრაინაში რესპირატორული დაავადებების გამომწვევი ღორის გრიპის შტამი შეისწავლეს, ვარაუდობენ, რომ ვირუსმა შესაძლოა მუტაცია განიცადა.

ექიმების თქმით, ზოგიერთი სიმპტომით ეს ვირუსი ავადსახსენებელ „ესპანურას" ჰგავს, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში 50 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. კერძოდ, როგორც ერთ-ერთმა ექიმმა განაცხადა, ვირუსის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების ფილტვები ნახშირივით შავია.

ქალაქ ლვოვის სასწრაფო დახმრების საავადმყოფოს ექიმებმა დაავადება დაახასიათეს, როგორც ვირუსული პნევმონია. მათი აზრით, სიკვდილიანობა ღორის გრიპით გამოწვეული არ არის, თუმცა არ იციან, თუ რა სახის პნევმონიასთან აქვთ საქმე.

აღსანიშნავია, რომ მანამდე ღორის გრიპის შტამის ფილტვებზე ძლიერი მოქმედება ცხოველებზე ექსპერიმენტებმაც დაადასტურეს. იაპონელმა მკვლევარებმა ღორის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოცდის დროს დაადასტურეს, რომ დაავადება საჰაერო-წვეთოვანი გზით ვრცელდება და არა აუცილებლად უშუალო კონტაქტის საშუალებით.

გარდა ამისა, მათ მიიჩნიეს, რომ ეი-ეიჩ1-ენ1 ვირუსი ჩვეულებრივ გრიპთან შედარებით ფილტვებს უფრო მეტად აზიანებს.

სწორედ ფილტვებზე მოქმედებდა თავის დროზე „ესპანურას" ვირუსი. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, იგი ორგანიზმის არაკონტროლირებად იმუნურ რეაქციას იწვევდა, შედეგად იმუნური სისტემა რესპირატორული სისტემის უჯრედებს უტევდა, რამდენიმე დღეში ანადგურებდა ფილტვებს და სიკვდილს იწვევდა.

1918 წელს „ესპანურას" პანდემიამ 50 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ დახმარებისათვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მიმართა. უკრაინის მოსაზღვრე ქვეყნები შიშობენ, რომ ვირუსი მათ ტერიტორიაზეც შეიძლება გავრცელდეს.

ეი-ეიჩ1-ენ1 გრიპი, იგივე ღორის გრიპი, ძალიან გადამდები, მწვავე რესპირატორული დაავადებაა. იგი „ა" ტიპის, ყველაზე გავრცელებული გრიპის სახეობას განეკუთვნება, რომელიც ჩვეულებრივ, მასშტაბურ ეპიდემიებს იწვევს ხოლმე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ეი-ეიჩ1-ენ1 ვირუსით გამოწვეული გრიპი დღემდე ადამიანებს შორის გავრცელებული არ ყოფილა. ღორებთან ან სხვა ცხოველებთან ადამიანის კონტაქტის შედეგად ინფიცირების შემთხვევები ცნობილი არ არის.

ეი-ეიჩ1-ენ1 ვირუსი დაკავშირებული არ არის წინა ან მიმდინარე სეზონურ ეპიდემიებთან. იგი ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა და ჩვეულებრივი, სეზონური გრიპივით ადვილად ვრცელდება.

ეს ვირუსი ადამიანებში გრიპისა და რესპირატორული დაავადებებისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს იწვევს, თავის ტკივილს, ტემპერატურის აწევას, ხველებას, გულისრევას, ფაღარათს, სურდოს. ვირუსი დაავადების გამომწვევი მიზეზი ყოველთვის არ ხდება და მხოლოდ სისხლში ანტისხეულების არსებობით შეიძლება გამომჟღავნდეს.

2009 წელს ამ შტამის ახალი აფეთქება დადასტურდა. დაავადების პირველი შემთხვევები მეხიკოში დაფიქსირდა, შემდეგ გრიპი მექსიკასა და აშშ-ს მოედო.

დაავადების პირველი შემთხვევა ევროპაში ესპანეთში, აპრილში დაფიქსირდა, ამჟამად იგი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაშია დადასტურებული.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მიმდინარე წლის ივნისში გრიპის ამ ვირუსით ინფიცირების საფრთხეს მეექვსე, უმაღლესი კატეგორია მიანიჭა. იმავდროულად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სპეციალისტები პირველად გასული 41 წლის განმავლობაში პანდემიის შესახებ ალაპარაკდნენ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის თანახმად, დედამიწაზე ეი-ეიჩ1-ენ1 ვირუსით ინფიცირების ლაბორატორიულად დადასტურებული 414 ათასი შემთხვევა არის დაფისქირებული. მათგან 5 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

შედარებისათვის ჩვეულებრივი სეზონური გრიპით ყოველწლიურად 1 მილიარდი ადამიანი ავადდება, 3 მილიონი იღუპება.

გრიპი, როგორც დაავადება, პირველად მრავალი საუკუნის წინ, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 412 წელს არის მოხსენიებული. გრიპის მსგავსი დაავადება ჰიპოკრატემ აღწერა. გრიპის პირველი დოკუმენტურად დადასტურებული პანდემია 1580 წელს მოხდა და მან მრავალი ადამიანი იმსხვერპლა.

გრიპის ყველაზე ძლიერი პანდემია, „ესპანურა", 1918-1920 წელს გავრცელდა.

გრიპის გამომწვევი ვირუსი 1831 წელს აღმოაჩინეს. „ეი" ტიპის ვირუსის იდენტიფიცირება ინგლისელმა მეცნიერებმა 1933 წელს შეძლეს, „ბი" ჯგუფის ვირუსი — 1936 წელს, ხოლო „სი" ჯგუფისა — 1947 წელს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

ქალაქ თბილისის ყოფილი საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**თორნიკე ჯებაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ნონა კაკაურიძე, მეუღლე მარიამ შოშიაშვილი, შვილი ივიკო, და თეა, სიდედრი შორენა პაიჭაძე, სიმამრი თენგიზ შოშიაშვილი, ბიძები გია ანდრიაძე, რიჩარდ კაკაურიძე, მურმან ედილაშვილი, დეიდა ლიანა, ცოლისდა თამარი, ქვისლი გიორგი თვალავაძე, ბიძაშვილები თამთა ანდრიაძე, ნინო კაკაურიძე, დეიდაშვილი თამრიკო ედილაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი ანდრიაძე**

პანაშვიდი: 17, 18 ნოემბერს, თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №14ა.

გამოსვენება: 19 ნოემბერს, 14 საათზე, ვაკის სამების ეკლესიიდან, ჭავჭავაძის გამზირი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 18 ნოემბერი**

**08.00** ან. სერ. "პიტი და კენტროფი" **08.30** სერ. **"ფილიპის ფილოსოფია"** **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი **"შიმშილი"** **12.30** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება – "ცისფერი ტრიო" **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** ევროვიზია ჯუნიორი **2009** – დღიური **17.30** ან. სერ. "ადამიანი ობობა" **18.00** დოკ. ფილმი "ნოსტრადამუსი **2012** წელი" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **22.00** ჩვენებურები **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** (12) **00.00** მხ. ფ. **"საპარიკმახერო-2: ისევ ბიზნესი"** (12) **02.00** მოამბე

**11.00** პარლამენტი **19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერ. "ფილიპის ფილოსოფია" **20.25** დოკ. ფილმი "ოკეანის ფსკერი" **21.05** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **22.00** სერ. **"პირისპირ"** **23.00** მხ. ფილმი **"სასაზღვრო ქალაქი"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვა-ბანკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფროხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი **"წმინდანი ფორტ ვაშინგტონიდან"** (18) (მ. დილონი)

**08.00** მულტფილმი "რიპლი" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"მარტოხელა მტრედი"** **15.50** მხ. ფილმი **17.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **19.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **20.20** სერ. **"ტყუპები"** **21.10** ძილისპირული **21.30** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.35** "სიცილი მზეზე" **23.10** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. **"კლინიკა"** **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** სიმართლის დრო (გან.) **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ **23.00** სერ. **"კლინიკა"** **00.00** სერ. **"უილ თრევლერის საიდუმლო"** **01.00** მხ. ფილმი **"ჭკვიანი ბიჭი"** (U) (კ. უოლი) **02.45** ქრონიკა **03.00** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.40** მხ. ფილმი **"ითამაშე, როგორც ბეკჰემმა"** **10.30, 19.30** სერ. **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.40** მხ. ფილმი **"ბოლოსიტყვაობა"** **15.10** მხ. ფილმი **"პელიკანების საქმე"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **22.00** "სცენა" **23.30** მხ. ფილმი **"ალყაში მოქცეულნი"** **01.05** მხ. ფ. **"ლედი ჯეინი"**

ერთსულოვნება **09.10** დილის

პროგრამა "განთიადი" **10.30** დროის ჩანაწერები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** "მრავალთათვის საკეთილო" ერლომ ახვლედიანი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"მოხეტიალე რაინდები"** **13.00** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** დებიუტი **19.15** მხ. ფილმი **"ჭიდაობას რა უნდა"** **20.35** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** დოკ. ფილმი "ჯვრის თაყვანისცემა" **22.00, 00.15** სიახლენი **22.20** გადაცემა "პერსპექტივა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გადაცემა "პერსპექტივა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 18 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**ამინდის პროგნოზი 18 ნოემბრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-13, ღამით — 3-§
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — §-19
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1-12, ღამით — -5-5







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე **www.salkhino.ge** წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# ავთანდილ ხურციძე: „შტურმი მალე გაიგებს, ვინ ვინ არის“

**ქართველი პროფესიონალი მოკრივე, ავთანდილ ხურციძე, მეოთხედ ემზადება ინტერკონტინენტალის ქამრის დასაცავად. საქართველოში „ჩაქუჩად“ წოდებული ხურციძე თავიდან კიკბოქსინგით იყო დაინტერესებული და სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონიც არის. კრივში ვარჯიში ცოტა გვიან ასაკში დაიწყო, მაგრამ ფიზიკურმა მონაცემებმა და კიკბოქსში ვარჯიშმა თავისი საქმე გააკეთა და ლიერ მოკრივედ ჩამოყალიბდა.**



პროფესიული კარიერა ხურციძემ ამერიკაში დაიწყო, სადაც 1 წლის განმავლობაში 7 ბრძოლა გამართა, აქედან 5 მოიგო, ერთი წააგო და ერთიც ფრედ დაასრულა. მის კარიერაში მხოლოდ ის ერთადერთი ამერიკული მარცხია. 2007 წლიდან ხურციძემ უკვე უკრაინაში გადაინაცვლა და სწორედ იქ მოახერხა ინტერკონტინენტალის ქამრის მოპოვება. უკრაინაშივე შეუცვალეს სახელი „ჩაქუჩას“ და ახლა პროფესიულ კრივში „ტორნადოს“ მეტსახელით იცნობენ. სულ კი ხურციძეს 22 ბრძოლა აქვს ჩატარებული, რომელშიც 19-ჯერ იმარჯვა, აქედან 12-ში — ნოკაუტით.

მომდევნო ბრძოლას „ტორნადო“ 20 ნოემბერს უკრაინის ქალაქ ჩერკასში გამართავს და მისი მეტოქე 33 წლის კუვანიჩ ტოიგონბეევი იქნება, რომელსაც კარიერის მანძილზე 35 ბრძოლა აქვს ჩატარებული და 30 მოგებული, აქედან 19 — ნოკაუტით.

სადღეისოდ ხურციძე ვბა-ს ვერსიით მსოფლიოში მეოთხე მოკრივედ ითვლება და სწორედ ტოიგონბეევთან გამარჯვება გზას გაუხსნის, მსოფლიოს ჩემპიონ ფელიქს შტურმს შეებრძოლოს.

***— რამდენიმე დღეში ისევ მოგიწევთ რინგზე ასვლა. რა გრძნობა გაქვთ სადღეისოდ მომავალი ბრძოლის წინ?***

— სიმართლე გითხრათ, საკმაო დროა გასული, რაც რინგზე არ ავსულვარ და ეს ატმოსფერო მომენატრა. ჩემი მომავალი მეტოქე, კუვანიჩ ტოიგონბაევი, საკმაოდ ძლიერი და გამოცდილია. მას ძალიან ბევრი ბრძოლა აქვს გამართული ამერიკაში. ჩემს მწვრთნელ ალექსანდრ ლიხტერთან ერთად ვნახე მისი რამდენიმე ბრძოლა და ვატყობთ, რომ მეტოქე უბრძოლველად არაფერს დათმობს.

***— შეიძლება ახლავე ვთქვათ, რომ ტოიგონბაევი ყველაზე სერიოზული მეტოქეა მათ შორის, ვისაც კი შეხვედრიხართ?***

— ამის შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენა ბრძოლის შემდეგ მექნება. არ დაგავიწყდეთ, რომ ინტერკონტინენტალის ქამრისთვის ბრძოლაში დამარცხებული მყავს უნგრელი ატილა კოვაჩი, რომელიც

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

# მეფეს ქეთათო სოლოკონცერტს მიუძღვნის



ეკა ირემაშვილი

ქართველი მუსიკოსის, მეფედ წოდებული ირაკლი ჩარკვიანის დაბადების დღეს მისი მეუღლე ქეთათო კონცერტით აღნიშნავს.

19 ნოემბერს კლუბ „33ა“-ში ქეთათო სოლოკონცერტს გამართავს, სადაც თავის სიმღერებთან ერთად ირაკლის სიმღერებსაც შეასრულებს, მანამდე კი 18 ნოემბერს კაფე „პურპურ-ში“ ირაკლი ჩარკვიანის წიგნის „ძველი სათამაშოები“ პრეზენტაცია გაიმართება. წიგნი გამომცემლობა „სიესტამ“ გამოსცა. ირაკლი ჩარკვიანის ეს წიგნი უკვე მეორედ გამოიცემა. პირველად იგი 80-იან წლებში საკმაოდ დიდი ტირაჟით გამოიცა და მის მიმართ მკითხველმა დიდი ინტერესიც გამოიჩინა.

ქართველი მუსიკოსი, პოეტი ირაკლი ჩარკვიანი 1961 წლის 19 ნოემბერს დაიბადა. იგი ბოლო წლებში ცნობილი იყო ფსევდონიმით „მეფე“. მუსიკოსი ქართული ალტერნატიული მუსიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად არის მიჩნეული. მისი მუსიკალური მოღვაწეობა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. ირაკლი ჩარკვიანის მუსიკალური მოღვაწეობა დაიწყო 1976 წელს,

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

## ასტროპროგნოზი 18 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

არ იზარმაცოთ.

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **ლომი** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **სასწორი** — პოზიტიური დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია არ იზარმაცოთ. **მშვილდოსანი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება, გელით სიურპრიზი. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი კარგად იქნება. **თევზები** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, გახარებული ხართ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 4. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 5. ფიგურული სახაზავი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. ზნეობა ანუ...; 15. ნაკვერჩხლებიანი ნაცარი; 16. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 1. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 9. ლოტოს მსგავსი აზარტული თამაში; 12. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ატმოსფერული ნალექი; 14. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 17. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 18. განდიდების მანია; 19. უკრაინული ფარმაცევტული კომპანია; 20. ეგრისის მთავარი VI საუკუნეში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



— ბედნიერება — გაქვს ყველაფერი, რაც გინდა და კვლავინდებურად თავისუფალი ხარ...

***

— დაავადებების ყველაზე სახიფათო შეხამებაა გაციება და ფალარათი, ცხვირის დაცემინებისა გეშინია...

***

— ჩემი რჩევა იქნება, ნურავის რჩევას ნუ დაუგდებთ ყურს, ამ რჩევის ჩათვლით...

***

— ანტიდეპრესანტებით გავიჭყიპე, კუჭი ამეშალა, უნიტაზს ვეღარ ვშორდები და მიხარია...

***

— საყვარელო, ბავშვი საბავშვო ბაღიდან წამოიყვანე?
— წამოვიყვანე.
— მაგრამ ეს ჩემი არ არის?
— არც ის არის შენი...

***

— ყოველი დღე ისე უნდა იცხოვრო, თითქოს ეს შენი უკანასკნელი დღეა.
— ანუ. ყოველ დილით ნოტარიუსთან ახალი ანდერძის დასაწერად მიხვიდე???

***

— მამაკაცებს სინამდვილეში მხოლოდ ორი რამ ესაჭიროებათ, ქალები და ქალებისაგან დასვენება...

***

— მითხარით, გინდათ, რომ თქვენი შვილები თქვენ დაგემსგავსნონ?
— არა, რა ჯანდაბად მინდა ოჯახში ამდენი იდიოტი.

## განვითარებთ თუ არა კარიერას

ტესტი



***1. ხვალ უკვე შვებულებაში გადიხართ, ბევრი საქმე გაქვთ, შეფმა კი საჩქარო საქმე დაგავალათ. როგორ მოიქცევით:***

ა. მოითხოვთ, საქმე სხვას დაავალონ. ბ. გამგზავრებას რამდენიმე დღით გადადებთ. გ. მთელი ღამე იმუშავებთ და საქმეს მაინც გააკეთებთ.

***2. მაღალი ანაზღაურების ვაკანსიაზე რამდენიმე ადამიანი აცხადებს პრეტენზიას. როგორ მოიქცევით.***

ა. მშვიდად. ბ. თქვენ რეკლამა არ გჭირდებათ. გ. ყველას დაუმტკიცებთ, რომ სხვაზე უკეთესი ხართ.

***3. თქვენს მეუღლეს კლასიკური მუსიკა მოსწონს, თქვენ — მსუბუქი. როგორ მორიგდებით.***

ა. მეუღლეს არ შეაწუხებთ. ბ. შეეცდებით შეიყვაროთ კლასიკური მუსიკა. გ. შეეცდებით მეუღლეს მსუბუქი მუსიკა შეაყვაროთ.

***4. პოლიცია იმ დანაშაულის მოწმეს ეძებს, რომელსაც თქვენ შეესწარით. გამოცხადდებით თუ არა პოლიციაში.***

ა. არა. ბ. არა, რადგან არ იცით, ზუსტად რა მოხდა. გ. აუცილებლად.

***5. სასწრაფოდ უნდა დარეკოთ, ერთადერთ ავტომატთან კი რიგია. როგორ მოიქცევით.***

ა. ინერვიულებთ, მაგრამ რიგში ჩადგებით. ბ. სთხოვთ რიგში მდგომთ, წინ გაგატარონ. გ. ყურადღებას არავის მიაქცევთ და ყურმილს ხელს სტაცებთ.

***6. ქუჩაში ვიღაცას შეეჯახეთ. თქვენი რეაქცია:***

ა. არცთუ სახარბიელო კომპლიმენტით შეამკობთ. ბ. ცივად მოუხდით ბოდიშს. გ. „ხდება ხოლმე“

***7. კამპანიაში შეხვდით ადამიანს, რომელმაც დაგაინტერესათ. როგორ მოიქცევით:***

ა. თვითდინებით მიუშვებთ სიტუაციას. ბ. შეეცდებით დაუახლოვდეთ. გ. მაშინვე საუბარს გაუბამთ.

### პასუხები

*პასუხები შეაფასეთ ა — 1 ქულა. ბ. 2 — ქულა. გ. 3 — ქულა.*

**7-10 ქულა:** კარიერაზე საერთოდ არ ფიქრობთ, ცდილობთ ყურადღება არ მიიქციოთ. სხვისი წარმატება და სახელი არ გშურთ.

**11-14 ქულა:** დროდადრო ოცნებობთ სამსახურში წარმატების მიღწევის, დაწინაურების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ოცნებობთ.

**15-18 ქულა:** სამსახურებრივი მოვალეობები მძიმე ტვირთად არ მიგაჩნიათ. მუშაობა სიამოვნებას განიჭებთ, წარმატების მიღწევა მნიშვნელოვან მიზნად დაგისახავთ.

**19-21 ქულა:** პატივმოყვარე ოპტიმისტების რიცხვს განეკუთვნებით, ხართ კარგი ორგანიზატორი, ვინც კარგად იცის, რა სურს და რას უნდა მიაღწიოს.